საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 186 (9346)

ხუთშაბათი 7 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი — «პრავდის» 6/VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).

ა. გრაჩოვი — ვოლგა-დონის დაბების კეთილმოწყობა (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

უფრო ქმედითი და კონკრეტული გავხადოთ პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა (მე-2 გვერდი).

რატომ არ მუშაობს თვითეული კომბაინი და ტრაქტორი სრული დატვირთვით (მე-2 გვერდი).

მ. ლომიძე — სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

ხარისხობრივი მაჩვენებლები — ყურადღების ცენტრში (მე-3 გვერდი).

მეთხუთმეტე საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის შედეგების შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი

### „პრავდის“ 6/VIII მოწინავე

კოლმეურნეობებისათვის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დადგა სოფლის მეურნეობაში ყველაზე ცხარე და პასუხსაგები დრო — მოსავლის აღება. გაჩაღებულია მკა უკრაინასა და მოლდავეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში და დონზე, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში, მოსავლის აღების სამუშაოები ჩაღდება ვოლგისპირეთის, ჩვენი ქვეყნის ცენტრალური და აღმოსავლეთი ოლქების რაიონებში.

წელს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა საგაზაფხულო თესვა და ნათესების მოვლა საუკეთესო ვადებში და უფრო მაღალი აგროტექნიკური დონით შეასრულეს. ადგილებიდან მოდის ცნობები საშემოდგომო და საგაზაფხულო პურეულის უხვი მოსავლის შესახებ. ახლა სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელები მთელ ძალღონეს ხმარობენ, რათა სანიმუშოდ აიღონ მოსავალი, შეინარჩუნონ მთელი მოყვანილი მოსავალი, ვადამდე შეასრულონ ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. ჩვენი ქვეყნის მინდვრებში გაჩაღებული შეჯიბრება მიმდინარეობს ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილი წერილებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით.

ჩვენს სოფლის მეურნეობას ყველა პირობა მოეპოვება იმისათვის, რომ მოსავალი აიღოს სწრაფად და უდანაკარგოდ, დროზე შეასრულოს მარცვლისა და სხვა პროდუქტების დამზადება. საბჭოთა სახელმწიფომ საკოლმეურნეო სოფელი შეაიარაღა პირველხარისხოვანი ტექნიკით. წლითიწლობით მაღლდება ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა, მათ შორის მოსავლის აღების მექანიზაციის დონე.

მკის წარმატებას წყვეტს მოსავლის ასაღები ყველა მანქანისა და უწინარეს ყოვლისა კომბაინის ნაყოფიერი გამოყენება. მარცვლეული კულტურების ნათესის დაახლოებით სამი მეოთხედი და მზესუმზირას 90 პროცენტი მიმდინარე წლის გეგმით აღებულ უნდა იქნას კომბაინებით.

„კომბაინის მნიშვნელობა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი მოწინავე კომბაინერთა თათბირზე 1935 წელს, — **იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი. ეს ფრიად დიდი და სერიოზული საქმეა, ამხანაგებო.**

**მაგრამ კომბაინის მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. მისი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიდძალი დანაკარგისაგან გვიცავს**“.

სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარებისათვის პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების არსებობის მანძილზე აღიზარდა კომბაინერთა მრავალრიცხოვანი არმია. ეს ადამიანები სრულყოფილად დაეუფლნენ ტექნიკას და ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ნამდვილი გამარჯვებულები გახდნენ.

კომბაინერი ცენტრალური ფიგურაა მოსავლის აღებისას. შეგნებული აქვთ რა თავიანთი პასუხისმგებლობა მოსავლის უდანაკარგოდ და სწრაფად აღებისათვის და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის დროზე შესრულებისათვის, მოწინავე მექანიზატორები გამოვიდნენ მანქანების ნაყოფიერად გამოყენებისათვის შეჯიბრების ინიციატორებად. მათს მოწოდებას გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის ყველა ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის მრავალი ათეული ათასი კომბაინერი. სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე სოფლის მექანიზატორები დღითიდღე აღწევენ ახალ საწარმოო წარმატებებს.

კრასნოდარის მხარის ლიმანის მტს-ის კომბაინერი პაველ სოსიურა კარგად მუშაობდა წარსულ სეზონში და დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. იგი არ დასჯერდა მიღწეულს და წელს იკისრა უფრო დიდი ვალდებულება: 15 სამუშაო დღეში გალეწოს ათი ათასი ცენტნერი პურეული. მოწინავე კომბაინერმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მხარის სხვა კომბაინერები. ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა. 15 სამუშაო დღეში შეჯიბრების ინიციატორმა კომბაინ „სტალინეც-6“-ის ბუნკერიდან მოგვცა თერთმეტი ათას ცენტნერზე მეტი მარცვალი. ყოველ ჰექტარ ფართობზე მან გალეწა დაახლოებით 30 ცენტნერი პურეული.

სტავროპოლის ასობით კომბაინერი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებას. 20 ათას ცენტნერზე მეტი მარცვალი გალეწეს „სტალინეც-6“ ორი გადაბმული კომბაინით კუმსკის მტს-ის მექანიზატორებმა ივანე გორობცოვმა და ვასილ პოდოპრიგორამ. შესანიშნავი წარმატება მოიპოვა გეორგიევსკის მტს-ის კომბაინერმა ნიკოლოზ კურილოვმა, რომელმაც ერთი კომბაინით გალეწა 12 ათასი ცენტნერი მარცვალი. ამას წინათ პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტმა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომმა შეაჯამეს შეჯიბრების შედეგები და აღნიშნეს საუკეთესო კომბაინერთა შრომის მაღალი ნაყოფიერება. აგიტატორები საველე ბანაკებში კოლმეურნეებს უამბობენ მოწინავეთა მიღწევებზე და მათი მუშაობის გამოცდილებაზე. სამხარეო გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს ცნობებს კომბაინერთა შეჯიბრების შედეგების შესახებ.

კომბაინით მოსავლის აღების ოსტატებმა შეიმუშავეს მრავალი ნოვატორული ხერხი, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს მაღალნაყოფიერად გამოიყენონ მანქანები. მათ კომბაინებზე მოაწყეს სპეციალური სამარჯვები უხვმოსავლიანი მასივებისა და ჩაწოლილი პურის უდანაკარგოდ აღებისათვის. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანა ის არის, რომ შეისწავლონ და ფართოდ გაავრცელონ მოწინავე კომბაინერთა ძვირფასი გამოცდილება.

ჩვენში ყოველ რაიონში, ყოველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში არიან კომბაინერები, რომლებსაც უნდა მიბაძონ მუშაობაში სხვა მექანიზატორებმა. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში სუსტად განაზოგადებენ და ავრცელებენ კომბაინით მოსავლის აღების მოწინავეთა გამოცდილებას. ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ კომბაინერთა ნაწილი ვერ ასრულებს საწარმოო ნორმებს, ხოლო მოსავლის აღება ზოგან ჭიანურდება. მაგალითად, როსტოვის ოლქში კომბაინით მოსავლის აღების გეგმა 1 აგვისტოს შესრულებული იყო სულ 30 პროცენტით. დასავლეთის, ცელინის, ბოლშე-კრეპინსკისა და სალსკის რაიონებში კომბაინის საშუალო დღიური გამომუშავება შეადგენს მხოლოდ ხუთ-ექვს ჰექტარს. მკის წინ ოლქის მოწინავე კომბაინერებმა მოწოდებით მიმართეს ყველა მექანიზატორს — გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის სანიმუშოდ აღებისათვის. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მხარი დაუჭირეს ამ კარგ თაოსნობას, მაგრამ საჭირო ღონისძიებანი არ მიიღეს იმისათვის, რომ შეჯიბრება ნამდვილად მასობრივი გაეხადათ.

კომბაინების გამოყენებაში სერიოზული ნაკლოვანებები არის კიევის, ოდესის, პოლტავის ოლქებსა და უკრაინის ზოგიერთ სხვა ოლქში. მაგალითად, კიევის ოლქში მოსავალი აღებულია მთელი ნათესი ფართობის დაახლოებით 40 პროცენტზე, ხოლო კომბაინების წილად მოდის 25 პროცენტზე ნაკლები. მასობრივი მკის დაწყებიდან პოლტავის ოლქმა ერთ მესამედზე ნაკლებით შესრულა კომბაინით მოსავლის აღების გეგმა. შარშან ოლქში კომბაინთა პარკის ნაყოფიერება აგრეთვე ნორმაზე ნაკლები იყო. ფაქტები მოწმობენ, რომ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ჯეროვანი დასკვნები არ გაუკეთებიათ შარშანდელი გაკვეთილებიდან.

**ავიღოთ მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ, დროზე შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა— ასეთია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.** საჭიროა გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი, ყოველდღე მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ თვითეული კომბაინის აგრეგატის, აგრეთვე მოსავლის ასაღები მარტივი მანქანების გამომუშავების ნორმები. საქმე ეხება დიდი შრომითი დაძაბვის შექმნას მოსავლის აღების ყველა უბანზე.

ახლა ძვირფასია ყოველი დღე. იმისათვის, რომ მოსავლის აღების სამუშაოები ყოველგვარ ამინდში წარმოებდეს, საჭიროა მოვაწყოთ გადახურული კალოები და ფარდულები, ავაშენოთ მარცვალსახმობები. კალოზე მოზიდული მარცვალი მაშინვე უნდა გადამუშავდეს და განუწყვეტელ ნაკადად მიდიოდეს დამამზადებელ პუნქტებსა და კოლმეურნეობათა ბეღლებში. სახელმწიფოს პური უნდა ჩავაბაროთ ყოველდღე, უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა დროზე შესრულება კოლმეურნეობათა პირველი მცნებაა. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას უნდა დაექვემდებაროს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები გამსჭვალული არიან პატრიოტული მისწრაფებით — დროზე და სანიმუშოდ აიღონ მოსავალი, პირნათლად შეასრულონ დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილი წერილებით ნაკისრი ვალდებულებანი. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან დაეხმარონ მექანიზატორებს, რომ მათ გაადიდონ მანქანების წარმადობა, ბოლომდე გამოიყენონ უმდიდრესი ტექნიკა, რომლითაც ისინი საბჭოთა სამშობლომ შეაიარაღა.

გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი! უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის აღების სანიმუშოდ ჩატარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

## ვოლგა-დონელები თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე

**ტახია-ტაში,** 5 აგვისტო. (საქდესი). თურქმენეთის მთავარი არხის სამშენებლო მოედნებზე ფართოვდება შეჯიბრება წლიური საწარმოო პროგრამის ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრების მონაწილეთა შორის წინ არიან ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის მონაწილენი, რომლებიც ყარა-ყუმში მოვიდნენ.

ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის რაიონში მუშაობს ინჟინერი ალექსანდრე ოპარინი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ვოლგა-დონის მეშვიდე და მერვე რაბების მშენებლობაში. მდიდარ საწარმოო გამოცდილებას იგი უნარიანად იყენებს ახალ პირობებში. საცდელი სალექარის მშენებლობაზე ამხ. ოპარინმა გამოიყენა ბეტონის მექანიზებული ჩასხმა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა. მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი დანერგა მან ხისდამმუშავებელი და ბეტონის ქარხნების მშენებლობაზე, ამუ-დარიის საბაგირო გზის მონტაჟზე. მისი დახმარებით სამშენებლო სამუშაოთა მოწინავე მეთოდები წარმატებით აითვისეს უფროსმა სამუშაოს მწარმოებლებმა ამხ. კისელიოვმა, ზაიცევმა, ავაკიანცმა, მედვედევმა და ბევრმა სხვა მშენებელმა.

ბევრი რამ ძვირფასი გადაიღეს ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის მექანიზატორებმა ვოლგადონმშენებლის — ბულდოზერისტ ალექსანდრე კუტუევისაგან. შეცვალა რა ბულდოზერის გვერდის ფარებისა და დანის კონსტრუქცია, სტახანოველმა ერთიორად გაადიდა აგრეგატის წარმადობა. ათზე მეტმა მექანიზატორმა გადაიღო ამხ. კუტუევისაგან მისი გამოცდილება და ცვლაში ორნახევარ ნორმამდე აიყვანა თავისი გამომუშავება.

## თბომავალ „სერგეი კიროვის“ მეორე რეისი ვოლგა-დონზე

**დონის როსტოვი,** 5 აგვისტო. (საქდესი). ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნის წინ ვოლგის უდიდესმა სამგზავრო თბომავალმა „სერგეი კიროვმა“ საცდელი რეისი მოახდინა ახალი სანაოსნო გზით. გუშინ თბომავალი კვლავ ჩამოვიდა როსტოვს და ამჯერად მგზავრები მოიყვანა.

დღეს დილით ადრე სამდინარო ვაგზლის საბილეთო სალაროებთან თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. აქ ნახავდით არა მარტო როსტოვის, არამედ სიმფეროპოლის, თბილისის, მოსკოვის, სარატოვისა და სხვა ქალაქების მცხოვრებთ. მათ გადაწყვიტეს შვებულება გაატარონ შესანიშნავ მოგზაურობაში ვოლგა-დონით.

ზუსტად განრიგის მიხედვით, დილის 11 საათზე, სამდინარო ვაგზლიდან მოსკოვს გაემართა თბომავალი „სერგეი კიროვი“.

ვოლგა-დონზე რეგულარული ნაოსნობის პირველი 10 დღის განმავლობაში როსტოვში უკვე იყო ვოლგის 6 სამგზავრო გემი, რომლებიც მოსკოვ-დონის როსტოვის ხაზზე დადიან.

## ვოლგა-დონის დაბების კეთილმოწყობა

ვინც ერთი წლის წინათ ყოფილა ვოლგა-დონის სამშენებლო რაიონში, ახლა ამ ადგილებს ვეღარ იცნობს.

იქ, სადაც წინათ მშრალი ხევი იყო, ვეებერთელა ზღვა დგას — კარპოვკის წყალსაცავი. იგი ებჯინება ოთხკილომეტრიან კაშხალს, სადაც აღმართულია მეცამეტე რაბის გრანდიოზული ნაგებობანი და სატუმბავი სადგური. წყალსაცავის ჩრდილოეთ ნაპირზე რაბთანვე გაშენებულია კარპოვკის ჰიდროკვანძის საექსპლოატაციო დარგის მუშაკთა დაბა — ნოვაია ილიევკა. 100-ზე მეტი ლამაზი აგურის სახლი ჩამწკრივებულია გამწვანებული, მოასფალტებული ქუჩების გაყოლებით.

დაბა საუცხოო სანახავია კარპოვკის წყალსაცავიდან. წყალსაცავის ნაპირას ზედ წყალთან თეთრად მოჩანს ნავმისადგომის მაღალი კოლონადიანი შენობა. გაზონები, ყვავილნარები, მწვანე ხეები, მოასფალტებული ბილიკები, რომლებიც ნავმისადგომს გარს არტყია, უფრო პარკს მოგვაგონებს. ალვისხის ხეივანი მიდის ნავმისადგომიდან კულტურის სახლის თეთრ-ვარდისფერი შენობისაკენ, რომლის არქიტექტურაც ჰარმონიულად არის შეხამებული ნავმისადგომის მთელ ანსამბლთან.

ვეებერთელა სკვერთან ჩანს არასრული საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა. აქ გადის მოასფალტებული სანაპირო ქუჩა, რომელიც ჩაფლულია მწვანეში. ამ სანაპირო ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია შეთეთრებული სახლები. კულტურის სახლს იქით, სანაპირო ქუჩის პარალელურად, მიდის კიდევ ორი ასეთივე ქუჩა — ლენინისა და სტალინგრადის ქუჩები. ერთი წლის წინათ აქ გადამხმარი ველი იყო. ახლა, სადაც უნდა გაიხედო, ყველგან მწვანეა.

როგორც მწვანე მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელმა მ. ი. სმირნოვამ გვითხრა, დაბაში დარგულია 800-მდე დიდი ხე, უმთავრესად ალვისხეები და უძრახელა, 20 ათასზე მეტი ნერგი. ტროტუარებისა და გზების გაყოლებით დარგულია 40 ათასზე მეტი აკაცია და ჰანჭყატა. გაზონებსა და ყვავილნარებს უკავია 40 ჰექტარი —დაბის მეტი ნაწილი. ქუჩებისა და მოედნების ლამაზ არქიტექტურულ ანსამბლში ჩაქსოვილი ეს გამწვანება განსაკუთრებით ამშვენებს დაბას.

ახლა მთავრდება დაბის კეთილმოწყობა, მიმდინარეობს ტროტუარების მოასფალტება, სამდინარო ვაგზლის შენობის მოპირკეთება. საექსპლოატაციოდ გადაცემულია წყალსადენი, მალე ამუშავდება კანალიზაცია.

კარგი და ლამაზი იქნება დაბები მარინოვკა, ვარვაროვკა, ბერესლავკა, ჩაპურნიკი და სხვები, სადაც ცხოვრობენ და შრომობენ ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის საექსპლოატაციო დარგის მუშაკები.

**ა. გრაჩოვი,**
საქდესის სპეც. კორესპონდენტი.
დონის კალაჩი, 5 აგვისტო.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### ჩინეთში გამოუშვეს პირველი ჩინური ორთქლმავალი

**შანხაი,** 5 აგვისტო. (საქდესი). გაზეთები აქვეყნებენ სინხუას სააგენტოს ცნობას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოუშვეს პირველი ჩინური ორთქლმავალი. ამ ამბის გამო გაზეთი „ძეფანჟიბაო“ წერს: ამას წინათ მთელი ჩინელი ხალხი უდიდესი სიხარულით შეხვდა ცნობას ტიანძინის მუშების მიერ პირველი ჩინური ავტომობილის გამოშვების შესახებ. ახლა ჩინელმა ხალხმა მიაღწია კიდევ უფრო დიდ წარმატებებს — აგებულია პირველი ჩინური ორთქლმავალი. ეს ჩინეთის მუშათა კლასის დიდი გამარჯვებაა საკუთარი მანქანათმშენებელი მრეწველობის შექმნის გზაზე და ახალი ჩინეთის ეკონომიური მშენებლობის საქმეში.

გაზეთი „ვენგუიბაო“ აცხადებს, რომ პირველი ჩინური ორთქლმავლის შექმნა მოწმობს ჩინეთის მუშათა კლასის დიდ შემოქმედებითს ძლიერებას.

### რუმინელ მშრომელთა საწარმოო წარმატებანი

**ბუქარესტი,** 4 აგვისტო. (საქდესი). 23 აგვისტოს რუმინელი ხალხი აღნიშნავს საბჭოთა ჯარების მიერ ფაშისტური უღლისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლების მე-8 წლისთავს. ქალაქისა და სოფლის მშრომელები ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს.

დღესასწაულისათვის მზადების დღეები მთელ რუმინეთში აღინიშნა სულ უფრო დიდი საწარმოო აღმავლობით. შრომითს ვახტზე დადგა ათასობით ტრაქტორისტი, კომბაინერი, სალეწი აგრეგატის მემანქანე.

აღმავლობით მუშაობენ მსხვილი სამრეწველო საწარმოების კოლექტივები. დღითიდღე გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს ქალაქ სტალინის მანქანათმშენებელი ქარხნის „სტიაგულ როშუს“ მუშები. წინასადღესასწაულო შეჯიბრების დროს ამ საწარმოს 800-ზე მეტ მუშას მიენიჭა საწარმოს სტახანოველთა და მოწინავეთა წოდება.

შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად გაადიდეს ხუნედოარის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადეებმა. ზედიზედ მეექვსედ მოიპოვეს გარდამავალი წითელი დროშა რეშიცის მეტალურგიული კომბინატის მებრძმედეებმა. მათ მოკლე ხანში 9,7 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და ხუთზე მეტი პროცენტით შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება, ამასთან 4 მილიონ ლეიზე მეტი დაუზოგეს სახელმწიფოს. რეშიცის მებრძმედეებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე სულ ცოტა 7 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი გამოუშვან გეგმის გადამეტებით.

### მარტენის ახალი ღუმელი ჩეხოსლოვაკიაში

**პრაღა,** 4 აგვისტო. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის მძიმე მრეწველობის საწარმოებში განუწყვეტლივ იწყებს მუშაობას ახალი სიმძლავრეები. გუშინ ქალაქ ტრჟინეცის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავდა კიდევ ერთი მარტენის ღუმელი, რომელმაც ფოლადის პირველი ნადნობი გამოუშვა. ახალი მარტენის ღუმელი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო თავისი ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ ტოლი არ მოეპოვება რესპუბლიკაში. ღუმელის აშენების დროს მემონტაჟეებმა, ზეინკლებმა, კალატოზებმა და სხვა პროფესიათა მუშებმა ფართოდ გამოიყენეს საბჭოთა წარმოების მუშაკების გამოცდილება.

## ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში

**ულან-ბატორი,** (საქდესი). მონღოლურ ენაზე დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის რჩეულ თხზულებათა მე-4 ტომი. თარგმანი შეასრულა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა მთარგმნელების კოლექტივმა.

ამჟამად იბეჭდება ი. ბ. სტალინის რჩეულ თხზულებათა მეხუთე ტომი და დასაბეჭდად მზადდება რჩეულ თხზულებათა მეექვსე ტომი.

## ი. ბ. სტალინის „ლენინიზმის საკითხები“ ბულგარულ ენაზე

**სოფია.** (საქდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ გამოუშვა ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომის „ლენინიზმის საკითხების“ მე-5 გამოცემა.

## წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. ციხისთავი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნატროშვილი და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული წითელწყაროს რაიონში ამხ. გელაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 5 აგვისტოსათვის 102 პროცენტით შეასრულეს 1952 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა, მათ შორის ხორბლისა — 100,5 პროცენტით.**

**სახელმწიფოს ჩაბარდა შარშანდელზე 23.952 ტონით მეტი ხორბალი.**

**გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.**

## ორთაჭალჰესის მშენებელთა კოლექტივის მორიგი გამარჯვება

ორთაჭალჰესის მშენებელთა კოლექტივის სახელზე სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროდან მიღებულია დეპეშა, რომლითაც იტყობინებიან, რომ ელექტროსადგურების მშენებელთა კოლექტივებს შორის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით ორთაჭალჰესის მშენებელთა კოლექტივს მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ორთაჭალჰესელები (მშენებლობის უფროსი ინჟინერი გ. ჩოგოვაძე, მთავარი ინჟინერი ი. მღებრიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ინჟინერი მ. ნემსაძე) ზედიზედ მეხუთეჯერ ინარჩუნებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

აღსანიშნავია, რომ ორთაჭალჰესელებმა ივლისში კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს, ვიდრე წინა თვეებში — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვიური გეგმა 122 პროცენტით შეასრულეს.



სტალინგრადი. ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გახსნასთან დაკავშირებით გმირ ქალაქში დამთავრდა ვოლგის ახალი სანაპიროს მშენებლობა. სურათზე: ახალი სანაპიროს საერთო ხედი. ფოტო ვ. ეგოროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# უფრო ქმედითი და კონკრეტული გავხადოთ პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა

ქ. თბილისის კიროვის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა მანკიერი სტილის შედეგად დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრას. ისინი თანდათან აძლიერებენ პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას; მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფით, პარტიული და სამეურნეო მუშაობის შეხამებით აღწევენ წარმატებებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა განხორციელების საქმეში.

მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქ. თბილისის კიროვის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ; ამაღლდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გაიზარდა მათი როლი რაიონის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

XII რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, მომხსენებელმა—რაიკომის მდივანმა ამხ. ზინაიდა კვაჭაძემ კონფერენციის დელეგატებს წარუდგინა ანგარიში უმთავრესად იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც გასწია პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებამ გამოხატულება ჰპოვა რაიონის სამრეწველო საწარმოთა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგებში. მთლიანად რაიონის საწარმოებმა მეორე კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,7 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მიმდინარე წლის პირველი ნახევრისა—102 პროცენტით. ჩამოთვალა რა მოწინავე საწარმოები და მათი მაჩვენებლები, ამხ. კვაჭაძემ ამასთან დაასახელა ის სამრეწველო საწარმოები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან ცეკავშირის სტამბა, არტელები „სპორტი“, „რეკორდი“, „პარიზის კომუნა“. ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკა, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“ დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. ამის მიზეზია სამეურნეო ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის და პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, მათი უუნარობა სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელების საქმეში.

საწარმოო წარმატებათა მოპოვების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. მაგრამ ზოგიერთი საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები მას სათანადოდ არ აფასებენ, ფორმალურად ეკიდებიან. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ მე-6 სამკერვალო და ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკები, ტყავის პირველი და მეორე ქარხნები და ზოგიერთი სხვა საწარმოები, სადაც ფორმალურად შეჯიბრებაში ჩაბმულია თითქმის ყველა მუშა, შრომის ნაყოფიერების გეგმებს ვერ ასრულებენ, ხოლო აღნიშნულ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ამ საკითხით არ ინტერესდებიან, არ ამოწმებენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, სოციალისტური შეჯიბრება აგონდებათ მხოლოდ ახალი ვალდებულების აღების დროს.

საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კადრების მომზადებასა და მათ შენარჩუნებას. მაგრამ ამ საქმეში რაიონის საწარმოებში ყველაფერი რიგზე როდია. შესამჩნევია მუშათა დენადობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ კადრებთან, გულისხმიერებას არ იჩენენ მუშათა მოთხოვნებისა და საჭიროებისადმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ყურადღება სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი, ისინი უფრო ეფექტიანად იბრძვიან სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა და გამფლანგველთა წინააღმდეგ. ამან უსათუოდ შეამცირა ბოროტმოქმედებისა და დანაშაულის შემთხვევები, შემცირდა აგრეთვე დებიტორული დავალიანება. მაგრამ ზოგიერთ საწარმოში, კერძოდ, ტყავის პირველ და მეორე ქარხნებში, ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟში“ სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების წაყრუების შედეგად კვლავ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს ამ საქმეში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებით, პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებით შეიარაღებული რაიონის პარტიული ორგანიზაცია აუმჯობესებს შინაპარტიულ მუშაობას. პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიონული კომიტეტი უფრო მიუახლოვდნენ მასებს, რაც მათ საშუალებას აძლევს დროზე გამოამჟღავნონ და გამოასწორონ ნაკლოვანებანი, უმალვე შეამჩნიონ და მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, პროგრესულს. პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას ცხადყოფს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება. ახლა სისტემატურად, ყოველთვიურად ტარდება პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმები, რაიკომის წევრები აქტიურად მონაწილეობენ ყველა ღონისძიების განხორციელებაში, ცალკეულ საკითხებზე მოხსენებით გამოდიან სხვადასხვა ორგანიზაციებში. მაგრამ ყველაფერი ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას ნაკლოვანებანი და ჩრდილოვანი მხარეები აღარ ჰქონდეს, რომ პარტიის რაიკომმა ყველაფერი გააკეთა მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის.

— ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია,—ამბობს მომხსენებელი,—პარტიის რიგების სუსტი ზრდა. საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა 26 საწარმოს პარტიული ორგანიზაცია. ეს არა მარტო აღნიშნულ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების, არამედ პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობის სერიოზული მინუსია.

მომხსენებელი ეხება პარტიული კრებების მომზადება-ჩატარების პრაქტიკას. მიუხედავად იმისა, რომ პარტიული კრებები პირველადს ორგანიზაციებში ახლა გაცილებით უფრო მომზადებულად და მაღალ იდეურ დონეზე იმართება, ისინი ჯერ კიდევ ყველგან არ არის გადაქცეული კომუნისტების აღზრდისა და გამოწრთობის სკოლად. განსაკუთრებით ცუდად ტარდება პარტიული კრებები მცირერიცხოვან ორგანიზაციებში.

როგორც მომხსენებელი აცხადებს, რაიონის პარტიული ორგანიზაციები, პირველ რიგში თვით პარტიის რაიონული კომიტეტი, ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შესრულების შემოწმების ბოლშევიკურ ორგანიზაციას. რაიკომი უპირატესად ზრუნავდა ბიუროს სხდომებისა თუ პლენუმებისათვის საკითხების მოსამზადებლად, ხოლო მიღებულ დადგენილებათა განხორციელებაში ნაკლებ პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა. ამხ. კვაჭაძე ამის ნათელსაყოფად ასახელებს შემდეგ ფაქტს: საანგარიშო პერიოდში რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილებამ ბიუროს სხდომის განსახილველად 25 საკითხი მოამზადა, ხოლო არც ერთი დადგენილების შესრულება არ შეუმოწმებია.

ხარისხის საზიანოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოდევნებამ ბევრგან პარტიული განათლების საქმე ფაქტიურად ჩაშალა. კიროვის რაიონში პარტიული განათლების ქსელში დაახლოებით ჩაბმული იყო 3 ათასამდე კომუნისტი, აქედან 380 კომუნისტმა ვერ დაძლია სასწავლო პროგრამა, ხოლო თვითგანათლებაზე მომუშავე 617 კომუნისტიდან 134 ვერ შეასრულა ინდივიდუალური მუშაობის გეგმა. საკუთარი თეორიული დონის ასამაღლებლად არ მუშაობდა ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკი.

— რაიონულ პარტიულ კონფერენციას, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — წინ უძღოდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. კრებებმა გვიჩვენა კომუნისტების აქტივობის ზრდა. ისინი ბოლშევიკური პირდაპირობით აკრიტიკებდნენ პარტიული და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებებს და საყურადღებო წინადადებებს აყენებდნენ მათი უსწრაფესად გამოსწორებისათვის. ამ წინადადებათა განხორციელება რაიონის პარტიულ ორგანიზაციას დაეხმარება მუშაობის ბოლომდე ახლებურად გარდაქმნაში.

მოხსენებიდან, რომელიც საკმაოდ კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო, ჩანდა, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გარდაქმნა პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, რომ იგი თავის მუშაობაში ყოველთვის არ ეყრდნობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სისტემატურად არ ასწავლის მათ მდივნებს პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდებს, პარტიული და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამებას, რომ ამის გამო ბევრი ორგანიზაცია ვერ ასრულებს პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის როლს.

ეს ცხადყო კამათში გამოსული ზოგიერთი დელეგატის—პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის—სიტყვებმაც. მაგალითად, ტყავის მეორე ქარხნის პარტბიუროსა და ფიზკულტურის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნებმა ა. კვანტალიანმა და მ. მაისურაძემ გამოამჟღავნეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხების სუსტი ცოდნა. მათი სიტყვები, რომლებიც გადატვირთული იყო ციფრებითა და მშრალი ფაქტებით, საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელისა და დაწესებულების ხელმძღვანელის თვითანგარიშს უფრო ჰგავდა, ისინი არსებითად არც კი შეეხნენ საანგარიშო მოხსენებას.

დელეგატების უმრავლესობამ სამართლიანად გააკრიტიკა პარტიის რაიონული კომიტეტი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან სუსტი კავშირისათვის.

— პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკები, — თქვა მე-6 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ზ. ბეგლიაროვამ, — ჩვენს ორგანიზაციაში მხოლოდ მაშინ მოდიან, როცა რაიკომის ბიუროს სხდომის ან პლენუმისათვის მასალები სჭირდებათ, ხოლო პარტიული მუშაობის გაუმჯობესებაში ნაკლებ კონკრეტულ დახმარებას გვიწევენ. ასევე შეიძლება ითქვას პარტიის თბილისის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მუშაკებზეც. ძირეული პარტიული მუშაკები, კომუნისტები, — თქვა შემდეგ ამხ. ბეგლიაროვამ, — თათბირებზე, აქტივის კრებებზე, პლენუმებზე აკეთებენ შენიშვნებს, აყენებენ საყურადღებო წინადადებებს, მაგრამ როგორ ეხმაურება მათ პარტიის რაიკომი, გამოაქვს თუ არა სათანადო დასკვნები, ითვალისწინებს თუ არა მუშაობაში, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით.

პარტიული სწავლებისადმი რაიკომის სუსტ ხელმძღვანელობაზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა გ. ჯიკაიამ და პლასტრეზინის ქარხნის დირექტორმა ს. არუთინოვმა.

26 კომისრის სახელობის არტელის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ქ. რონდონიამ უსაყვედურა რაიკომს აქტივთან სუსტი კავშირი. რაიკომის თითქმის ყველა განყოფილება სხვადასხვა ღონისძიების გატარებისათვის იყენებს ერთსა და იმავე ამხანაგს. ეს იწვევს იმას, რომ კომუნისტი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს რამდენიმე დავალება ეძლევა, ხეირიანად ვერც ამ დავალებებს ასრულებს და თავის პირდაპირ სამუშაოსაც სცდება.

საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ქ. თარგამაძემ, რომელმაც ილაპარაკა იმ ნაკლოვანებათა შესახებ, რაც მუშაობაში ჯერ კიდევ აქვთ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს და მისი სისტემის არტელებს, პარტიის რაიონულ კომიტეტს სუსტი დახმარება უსაყვედურა.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პარტბიუროს მდივანმა ქ. ვადაჭკორიამ კონფერენციის დელეგატებს მოუთხრო, თუ რა მუშაობას ეწევა სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

— კომუნისტები ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ პარტიულ მუშაობაში, — თქვა მან, — გაბედულად აკრიტიკებენ პარტიული ბიუროს ნაკლოვანებებს. კომუნისტების აქტივობის ზრდას ისიც უწყობს ხელს, რომ ახლა სისტემატურად ვიწვევთ პარტიულ კრებებს, დღის წესრიგის შერჩევას მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდებით, ვცდილობთ მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ჩვენი მუშაობის საკვანძო საკითხები. 6 თვის მანძილზე მოწვეულ 12 პარტიულ კრებაზე განხილული 41 საკითხიდან 36 ადგილობრივი ცხოვრების საკითხი იყო.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ვარსიმაშვილმა პარტიის რაიონული კომიტეტის განყოფილებებსა და ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნებს უსაყვედურა კომკავშირისადმი არასაკმაო დახმარება.

— რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს მუშაობაში, კერძოდ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების დარგში. ამ ნაკლოვანებების გამოსწორებას ჩვენ ვერ შევძლებთ პარტიული ორგანიზაციების დაუხმარებლად, — თქვა მან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. კოპალიანმა, ტყავის პირველი ქარხნის დირექტორმა გ. ხაზარაძემ, ძაფსართავი ფაბრიკის სტახანოველმა მ. ზუევამ, რაიონის პროკურორის თანაშემწემ ე. არობელიძემ, 35-ე ქალთა საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. მელაძემ, ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის სტახანოველმა მ. დანელიანმა და სხვებმა, სულ 18 ამხანაგმა.

კონფერენციამ პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, დასახა ღონისძიებანი და აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციის დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხ. ზ. კეცხოველი, ქ. ბუჯიაშვილი, გ. ზედგინიძე.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ზ. კვაჭაძე, მეორე მდივნად—ამხ. ი. თანდილაშვილი, მდივნად — ამხ. გ. გაფრინდაშვილი.

## კომბაინების რაციონალურად გამოყენებისათვის

**საგარეჯო.** (საკ. კორ.). სართიჭალის მტს-ის მოწინავე კომბაინერები გულდასმით გაეცნენ ნოვატორი კომბაინერის იოსებ ტიტვინიძის მუშაობის გამოცდილებას და ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა კომბაინების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი ალექსი სინჯიკაშვილი. იგი ყოველდღიურად „სტალინეც-6“-ით პურეულის მოსავალს 16-18 ჰექტარზე იღებს.

ალექსის ოდნავ ჩამორჩება მისი ძმა, კომბაინერი გიორგი სინჯიკაშვილი, რომელიც „კომუნარს“ მართავს. იგი ყოველდღიურად 15-16 ჰექტარ პურეულს მკის.

მაღალნაყოფიერად შრომობენ აგრეთვე კომბაინერები: ს. დოხტურიშვილი, დ. ჯანდაგაშვილი, ს. ჯანიაშვილი, ი. შაბულინი, გ. პარხომენკო, ი. ხუდიაკი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ანაღდებენ.

## ენისლის მექანიზატორები გორის რაიონში გაემგზავრნენ

**ყვარელი.** (საკ. კორ.). ენისლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერმა გ. გიგილოშვილმა თვითმავალი კომბაინით 205 ჰექტარი პური მომკა, გეგმა კი ორასი ჰექტარის მომკას ითვალისწინებდა. ი. ზუბიტაშვილმა „სტალინეც-6“-ით მოსავალი აიღო 240 ჰექტარზე, ი. მუსაშვილმა — 279 ჰექტარზე.

ამ დღეებში ენისლელი კომბაინერები გ. გიგილოშვილი, ი. ზუბიტაშვილი, ი. მუსაშვილი და მ. კეკელიშვილი გორის რაიონში გაემგზავრნენ მოსავლის ასაღებად. თვითეულმა 300 ჰექტარის მომკა იკისრა.

## ახალი წიგნები

კ. მარქსი, ფ. ენგელსი — წერილები „კაპიტალის“ შესახებ. სახელგამი. პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი. 1952 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 423, ფ. 8 მან. 60 კაპ.

ა. მგელაძე — პარტიული და სამეურნეო მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ. სიტყვა თბილისის XXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. გამომცემლობა „კომუნისტი“. 1952 წ., ტირაჟი 25.000, გვ. 49, ფასი 40 კ.

## მოსკოვის ამბები

(«კომუნისტის» კორესპონდენტისაგან)

### ვოლგა-დონის არხით

27 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის პირველ რაბში შევიდა საფლაგმანო გემი «იოსებ სტალინი» და ამით ამ ახალ დიად სანაოსნო მაგისტრალზე გემების რეგულარული მიმოსვლა დაწყებულად გამოცხადდა.

მეორე გემი, რომელიც მოსკოვიდან ამავე სანაოსნო მაგისტრალით გავიდა დონის როსტოვისაკენ, იყო «საბჭოთა რესპუბლიკა». მისი გემბანი სავსე იყო მგზავრებით—მოსკოვის საწარმო-დაწესებულებათა მუშაკებით, რომლებმაც გადაწყვიტეს მორიგი შვებულება გაატარონ სამდინარო გემზე, შემოიარონ ვოლგა და დონი, ნახონ ვოლგა-დონის შემაერთებელი სანაოსნო არხი.

ამ მიმართულებით მოსკოვიდან გასულ გემებს მრავლად ეტანებიან მგზავრები.

### მშენებლობებისადმი მიძღვნილი გამოფენა

ერთ კვირაზე მეტია სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა დიდი გამოფენა, მიძღვნილი მოსკოვის მშენებლობისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები ასახავენ მშენებლობათა მექანიზაციის დონეს. აქვე წარმოდგენილია ის ახალი (ადგილობრივი წარმოების) საშენი მასალები, რომლებსაც იყენებენ მოსკოველი მშენებლები, ნაჩვენებია სამშენებლო მექანიზმები, შენობათა და ნაგებობათა მოდელები, საესკიზო პროექტები და ა. შ.

გამოფენაში მონაწილეობს დედაქალაქის 125 სამშენებლო ორგანიზაცია.

## ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 5 აგვისტოს ცნობებით

| რაიონების დასახელება | გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურის | გეგმის შესრულება პროცენტობით: [illegible] |
|---|---|---|
| ბათუმის | 58,1 | 4,0 |
| ქობულეთის | 59,1 | 5,3 |
| ქედის | 80,0 | — |
| სულ აჭარის ასსრ-ში | 58,8 | 5,0 |
| გალის | 55,4 | 2,6 |
| ოჩამჩირის | 54,7 | 1,7 |
| გულრიფშის | 61,3 | 1,9 |
| სუხუმის | 59,0 | 3,4 |
| გუდაუთის | 63,5 | 1,6 |
| სულ აფხაზეთის ასსრ-ში | 56,1 | 2,2 |
| მახარაძის | 58,3 | 3,8 |
| ჩოხატაურის | 55,8 | 2,0 |
| ლანჩხუთის | 56,4 | 3,9 |
| სამტრედიის | 47,1 | 2,5 |
| წულუკიძის | 48,0 | 1,5 |
| ქუთაისის | 60,0 | 2,4 |
| წყალტუბოს | 49,3 | 0,8 |
| ტყიბულის | 53,8 | 3,2 |
| ცხაკაიას | 46,8 | 2,0 |
| აბაშის | 35,9 | 1,1 |
| გეგეჭკორის | 54,3 | 3,6 |
| ზუგდიდის | 53,8 | 2,8 |
| წალენჯიხის | 56,1 | 4,2 |
| ჩხოროწყუს | 51,9 | 1,2 |
| ხობის | 46,2 | 1,2 |
| თერჯოლის | 58,5 | 0,7 |
| ზესტაფონის | 61,6 | 2,5 |
| სულ ქუთაისის ოლქში | 54,8 | 3,0 |
| სულ საქართველოს სსრ-ში | 55,7 | 3,2 |

ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონების ცნობები არასრულია.

# რატომ არ მუშაობს თითოეული კომბაინი და ტრაქტორი სრული დატვირთვით

კომბაინების, ტრაქტორების, სალეწი მანქანების სრული დატვირთვით გამოყენებას მკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა თბილისის გარეუბნის რაიონში? სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებელი. ამ რაიონის კოლმეურნეობებს სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ემსახურება. ეს სადგურები აღჭურვილი არიან უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მაგრამ მტს-ებში არსებულ შესაძლებლობას აქ ვერ იყენებენ. ამის შედეგად 5 აგვისტოსათვის 12.582 ჰექტარიდან პურეული აღებული იყო მხოლოდ 7.662 ჰექტარზე. ლეწვის გეგმა კი შესრულებულია უმნიშვნელო რაოდენობით. ჩაშალეს აგრეთვე ანეულის ხვნის სამუშაოები.

რამ გამოიწვია ეს ჩამორჩენა? რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და მტს-ების მუშაკები ჩამორჩენის მიზეზად იმას თვლიან, რომ ზოგიერთი კომბაინი და ტრაქტორი „ძველი“ და „უვარგისია“, მაგრამ, როგორც ადგილზე გამოირკვა, ნამდვილი მიზეზი ცუდი ხელმძღვანელობა და უსისტემო მუშაობაა. საერთოდ რაიონში მანქანების წესიერად მოვლას, მათი წარმადობის გადიდებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. თვითეული კომბაინი სრული დატვირთვით როდია გამოყენებული. მარტყოფის მტს-ში შრომა მოუწესრიგებელია. ამის გამო დაბალია კომბაინის გამომუშავება. ს. ოსიაშვილმა 20 სამუშაო დღის განმავლობაში კომბაინ „კომუნარით“ მომკა მხოლოდ 79 ჰექტარი. ეს იმიტომ, რომ მისი კომბაინი ცუდი მოვლის შედეგად ხშირად უქმად დგას. კომბაინის ცუდი რემონტისა და ტექნიკური მიზეზების გამო მან 4 კომბაინ-დღე გააცდინა. ეს გაცდენილი და დანარჩენი დღეებიც კომბაინს სრული დატვირთვით რომ ემუშავნა, ოსიაშვილს დამატებით შეეძლო მოსავალი აეღო სულ მცირე 100 ჰექტარზე.

კომბაინს სრული დატვირთვით ვერ იყენებს აგრეთვე მ. ბერუაშვილი. იგი მართავს კომბაინ „სტალინეც-6“-ს. ამ კომბაინით ყოველდღიურად შეიძლება მოიმკას 18-20 ჰექტარი და მეტიც. ბერუაშვილმა კი 22 დღეში ძლივს აიღო 102 ჰექტარი. ამის მიზეზი ის არის, რომ ტექნიკური და ორგანიზაციული მიზეზებით კომბაინი გააცდინეს 10 დღეს. მარტო ამ გაცდენილ დღეებში მათ შეეძლოთ პურეულის მოსავალი აეღოთ 150 ჰექტარზე. ასევე ცუდად მუშაობენ და კომბაინს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ ა. მიგრიაული, ნ. ჯავახიშვილი და სხვა. სულ მტს-ში არსებული 13 კომბაინით მომკეს მხოლოდ 1.853 ჰექტარი. ფაქტიურად მტს-ში თვითეული კომბაინი სრული დატვირთვით რომ გამოეყენებინათ, შესაძლებლობა ექნებოდათ პურეულის მოსავალი დამატებით აეღოთ სულ მცირე 800 ჰექტარზე.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა ტრაქტორების გამოყენების საქმეშიც. თვითეულ ტრაქტორს აქ რატომღაც მთელი სიმძლავრით ვერ იყენებენ. მტს-ში შარშანაც ხშირად ცდებოდა მანქანა, მაგრამ მარტყოფის მტს-ის მუშაკებს შარშანდელი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა არ გამოუტანიათ. 7 თვის განმავლობაში ცუდი რემონტის, ტექნიკური და სხვა მიზეზით 873 ტრაქტორ-დღე გააცდინეს.

სწორედ ასეთმა უსისტემო მუშაობამ გამოიწვია რაიონში ანეულის ხვნის სამუშაოების ჩაშლა.

დიღმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მოწინავე კომბაინერები მოსავლის აღებაში ნაყოფიერად მუშაობენ. მაგალითად ა. ქონიაშვილი გაზეთებიდან გაეცნო რუსთაველი ნოვატორი კომბაინერის იოსებ ტიტვინიძის მუშაობის გამოცდილებას. მის მაგალითზე მომუშავე ქონიაშვილი სოფელ გლდანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინ „სტალინეც-6“-ით ყოველდღიურად მკის 18-20 ჰექტარს. ბეჯითი მუშაობის შედეგად მის კომბაინზე პირველ დღიდანვე ფრიალებს მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა. კომბაინის სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად მოწინავე კომბაინერმა ქონიაშვილმა უკვე შეასრულა მკის წლიური დავალება. ახლა იგი იბრძვის იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით სეზონში მოსავალი აიღოს 200 ჰექტარზე.

მაგრამ ყველა ასე როდი მუშაობს, რაც იმის შედეგია, რომ მტს-ის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ მოწინავე კომბაინერების გამოცდილების, მათი მუშაობის მეთოდებისა და ხერხების ფართოდ გავრცელებისათვის. ამიტომ მტს-ის კომბაინერების 70 პროცენტი ვერ ასრულებს მოსავლის აღების დღიურ ნორმებს. მაგალითად, კომბაინერმა შ. გენებაშვილმა 22 სამუშაო დღეში კომბაინ „კომუნარით“ მომკა მხოლოდ 115 ჰექტარი. იგი 1 აგვისტოს სოფელ წყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან სამუშაოდ უნდა გადასულიყო დიღმის კოლმეურნეობაში, ფაქტიურად კი მეორე დღეს კომბაინი დღის 12 საათამდე მტს-ის სახელოსნოში იდგა და მას რემონტს უკეთებდნენ. ამაზე მტს-ის დირექტორმა ამხ. მ. დოლიძემ განაცხადა, არა უშავს რა, ტექნიკური მოვლა წარმოებსო. როგორც ჩანს, აქ კომბაინის 7 საათის მოცდენას „ტექნიკურ მოვლას“ უწოდებენ. ასეთ უმსგავსოებას სხვაგანაც ვხვდებით.

კომბაინის გაცდენაში ბრალი მიუძღვით კოლმეურნეობებსაც. მაგალითად, სოფელ გლდანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერი ამხ. ქონიაშვილი ერთ დღეს 5 საათი გაცდა იმის გამო, რომ მარცვლით დატვირთული ბუნკერი დროზე არ დაცალეს. ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს სოფელ დიღმის ლენინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებშიც.

კომბაინის გაცდენას იწვევს ისიც, რომ ზოგან კომბაინს ამუშავებენ ნახევარ ჰექტარიან ნაკვეთში. დიღმის კოლმეურნეობაში გზის ნაპირზე ნახევარი ჰექტარი პურეული ხელით უნდა მოემკათ, მაგრამ თავი არ შეიწუხეს და შ. გენებაშვილმა კომბაინით აიღო მოსავალი. ამან გამოიწვია კომბაინის გაცდენა. ასეთ არასწორ პრაქტიკას ვხვდებით აგრეთვე ავჭალის კოლმეურნეობაში. კომბაინების ცუდი მუშაობა გამოწვეულია იმითაც, რომ რაიონში არ იზრუნეს ჩაწოლილი პურის ასაღებ მოწყობილობაზე, რატომღაც ეს ზედმეტად მიიჩნიეს.

რას აკეთებენ მტს-ის პარტიული ორგანიზაციები ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და როგორ ეხმარება მათ პარტიის რაიონული კომიტეტი?

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მტს-ებში პარტიული ორგანიზაციების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, მათი დამრაზმავი როლი არა ჩანს. სუსტია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. არ რაზმავენ კომუნისტებს მიცემული საწარმოო დავალების შესრულებისათვის, ხელს არ უწყობენ მოწინავე კომბაინერთა გამოცდილების გაზიარებას. მარტყოფის მტს-ში დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ერთი თვეა სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, ხოლო პარტიის რაიკომმა სამაგიერო კაცის მონახვისათვის თავი არ შეიწუხა.

პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოსავლის ხელით აღებას. კოლმეურნეობებს 20 სამუშაო დღეში ხელით უნდა მოემკათ 2.782 ჰექტარი. შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად მომკილია მხოლოდ 1.010. გალეწილი აქვთ 30 ჰექტარზე აღებული მოსავალი. მტს-ებში სალეწები მზად არის, მაგრამ მათ კოლმეურნეობებში რატომღაც არ იყენებენ. სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლის აღება დაიწყეს 9 ივლისს და აღებული აქვთ მხოლოდ 476 ჰექტარი, ხელით კი—5 ჰექტარი. ცუდად მუშაობენ დანაკარგების წინააღმდეგაც. ამასთან ბევრგან ჩაწოლილი პური აუღებელია. თავთავი აკრეფილია აღებული ნაკვეთის 45 პროცენტზე, ხოლო ნამჯა დაზვინულია უმნიშვნელო რაოდენობით. ამის მთავარ მიზეზად აქ მუშახელის ნაკლებობას ასახელებენ. ფაქტიურად მუშახელი საკმაო ჰყავთ, მხოლოდ შრომა ვერ მოაწესრიგეს. კოლმეურნეობის გამგეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის დაუდევრობის შედეგად მოსავლის აღების ასეთ გაცხარებულ დღეებში ზოგიერთი კოლმეურნე პირად საქმეებზე მუშაობს. კოლმეურნეობაში არიან აგრეთვე ზარმაცები, რომლებიც არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. მაგალითად, ქ. ლუჯაშვილს, ლ. შოშიაშვილს და სხვებს წელს ერთი შრომადღეც არა აქვთ გამომუშავებული.

ამავე კოლმეურნეობაში ცუდად არის მოწყობილი კალოზე მარცვლის აღრიცხვა. მწონავმა პ. გორდაშვილმა არ იცის, მარცვალი რომელი მზიდავის მიერ არის მიტანილი. კომბაინის აღების დღიურში არ აწერინებენ ხელს მზიდავებს, ნაჩვენები არ არის რამდენ ჰექტარზეა პური მომკილი და სხვ. ასეთი მდგომარეობაა რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში.

მექანიზმებისადმი უდარდელი დამოკიდებულება, რასაც ადგილი აქვს გარეუბნის რაიონში, დანაშაულია. საჭიროა მიღებულ იქნას ქმედითი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**შ. ჩოჩუა,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

## ს ა შ ე მ ო დ გ ო მ ო ხ ვ ნ ა

**სიღნაღი.** (საკ. კორ.). ალაზნის მტს-ის მექანიზატორებმა დაიწყეს საშემოდგომო ხვნა. ბოდბისხევის, მაჩხაანისა და ძველი ანაგის კოლმეურნეობებში მოხნულია 500 ჰექტარი.

ტრაქტორისტები ა. ასანიშვილი, ქ. მოსულიშვილი და ც. ცხადაძე ხვნის დღიურ ნორმას 100-110 პროცენტით ასრულებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხარისხობრივი მაჩვენებლები— ყურადღების ცენტრში

ყველა ფაბრიკა-ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ გეგმები სრულდებოდეს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

თელავის ძაფსახვევ ფაბრიკაში ჯეროვან ბრძოლას არ აწარმოებენ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალების შესრულებისათვის. ფაბრიკის კოლექტივმა შვიდი თვის გეგმა გადაჭარბებით განახორციელა, მაგრამ ვერ შეასრულა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალება.

რა არის ამის მიზეზი? მხოლოდ და მხოლოდ ცუდი ხელმძღვანელობა. ბრიგადებში სუსტია შრომის დისციპლინა. საამქროს ოსტატები და ბრიგადირები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და ქმედითს დახმარებას არ უწევენ თვითეულ მუშას, ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ მათს ნამუშევარს გასინჯავს კონტროლიორი და განსაზღვრავს, თუ რომელი ხარისხის ხამი აბრეშუმის ძაფია ამოხვეული.

ფაბრიკაში სულ 9 ბრიგადა მუშაობს. ამათგან მხოლოდ მეორე ბრიგადა (ბრიგადირი გ. პოპოვა) ასრულებს გეგმებს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ექვსი თვის განმავლობაში გამოშვებული ხამი აბრეშუმის ძაფის საერთო რაოდენობაში გეგმის მიხედვით 25 პროცენტი უნდა ყოფილიყო პირველი ხარისხისა, ფაქტიურად კი ბრიგადამ 46,2 პროცენტი პირველი ხარისხის ხამი აბრეშუმის ძაფი ამოახვია.

დანარჩენი ბრიგადები ვერ ასრულებენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მაგალითად, მეექვსე ბრიგადამ ნახევარი წლის განმავლობაში პირველი ხარისხის ხამი აბრეშუმის ძაფი გამოუშვა 18 პროცენტით ნაკლები, ვიდრე ამას საგეგმო დავალება ითვალისწინებდა. ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს ნახევარი წელი სხვა ბრიგადებმაც.

ფაბრიკაში 84 მუშა ვერ ასრულებს დავალებას ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების შემცირების ხარჯზე ბრიგადებში გაიზარდა მეორე და მესამე ხარისხის ხამი აბრეშუმის ძაფის გამოშვება.

ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსრულებლობა იმის შედეგიც არის, რომ საწარმოში მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება და სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. თვითეული მუშისა და ბრიგადის ვალდებულებებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამონაკლისს, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები აღებულია იმ რაოდენობით, რასაც საგეგმო დავალება ითვალისწინებს. ცხადია, ასეთი ვალდებულებანი იწვევს როგორც ხელმძღვანელობის, ისე მუშების თვითდამშვიდებას, ასუსტებს ბრძოლას გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

წარმოებას გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში ხელს ისიც უშლის, რომ ნაკლებად არის დანერგილი მუშაობის მოწინავე მეთოდები. 1952 წლის თებერვალში ფაბრიკას ეწვია ნოვატორი ციალა ღლონტი, რომელმაც პრაქტიკულად გააცნო მუშებს თავისი გამოცდილება, უჩვენა მრავალ დაზგაზე ორი ხელით მუშაობის მეთოდი. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ წარმოებაში ციალა ღლონტის მიმდევრები ჯერ კიდევ ცოტანი არიან.

ბრიგადებში არა ჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი. ძალები სწორად არ არის განაწილებული გადამწყვეტ უბნებზე. ზოგიერთ ბრიგადაში არცერთი კომუნისტი არ არის.

ჩვენს ქვეყანაში არ არის არცერთი წარმოება, სადაც მკვეთრად არ იყოს გაშლილი ბრძოლა ნედლი მასალის ხარჯვის ეკონომიისათვის. ამ მხრივაც თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ნახევარი წელი წარმოებამ ისე დაამთავრა, რომ არცერთი კილოგრამი აბრეშუმის პარკის ეკონომია არ გაუწევია.

წლის მეორე ნახევარში თელაველმა მეაბრეშუმეებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ყველა საშუალება, რათა მიაღწიონ აბრეშუმის პარკის ხარჯვის ნორმის შემცირებას.

ფაბრიკის ძაფსახვევ საამქროში არ არის შექმნილი ნაყოფიერი შრომის ყველა პირობა. აქ სათანადოდ არ არის მოწყობილი ვენტილაცია. ფაბრიკის ხელმძღვანელობას რამდენიმე მიმართვა აქვს გაგზავნილი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში ვენტილატორის დადგმის შესახებ. მაგრამ სამინისტრომ დღემდე ვერ მოახერხა ვენტილატორის დასადგმელად სათანადო ხარჯების გამონახვა.

ასევე ჭიანურდება ნარჩენების გასაშრობი ფარდულის აგება, რის გამო ფაბრიკის ხელმძღვანელობა იძულებულია ნარჩენები მზეზე გააშროს, რაც ცუდად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე.

სამინისტრო ფაბრიკას საკმაო რაოდენობით ვერ აწვდის სათადარიგო ნაწილებს, რის გამო ფერხდება დაზგების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება. ხშირად იძულებული ხდებიან რემონტზე გამოიყენონ ძველი, უვარგისი ნაწილები, რაც იწვევს შეკეთების ხარჯების გადიდებას.

თელავის ძაფსახვევი ფაბრიკის ხელმძღვანელობამ გადაჭრით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა და მიაღწიოს იმას, რომ საწარმოო გეგმა სრულდებოდეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ზ. ჯამასპიშვილი.

# მეთხუთმეტე საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის შედეგების შესახებ

«პრავდისა» და «იზვესტიის» კორესპონდენტების საუბარი საბჭოთა სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელთან მეთხუთმეტე საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაზე ნ. ნ. რომანოვთან

★

„პრავდისა“ და „იზვესტიის“ კორესპონდენტებმა ჰელსინკიდან დაბრუნებული საბჭოთა სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელს მეთხუთმეტე საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაზე ამხ. რომანოვს მიმართეს თხოვნით ეამბნა დამთავრებული ოლიმპიური ასპარეზობის შედეგები.

ნ. ნ. რომანოვმა განაცხადა შემდეგი:

მეთხუთმეტე საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობა, რომელიც 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე მიმდინარეობდა, ყველაზე დიდი ასპარეზობა იყო ოლიმპიური შეჯიბრების ისტორიაში. ოლიმპიურ სასპორტო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 70 ქვეყნის შვიდი ათასამდე სპორტსმენმა.

ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება შემდეგ სახეობათა სპორტში: მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, სასროლო სპორტში, ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში, აკადემიურ და საბაიდარო მონიჩბეობაში, საველოსიპედო სპორტში, ფარიკაობაში, საცხენოსნო სპორტში, იალქანჯომარდობაში, თანამედროვე ხუთჭიდსა და ბალახის ხოკეიში.

მეთხუთმეტე ოლიმპიური ასპარეზობა სპორტული ოსტატობის მაღალი დონით გამოირჩეოდა. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს უძლიერესმა სპორტსმენებმა.

როგორც ერთსულოვნად აღნიშნავდა უცხოეთის პრესა, საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობამ ოლიმპიურ ასპარეზობაში მნიშვნელოვნად გააძლიერა მისდამი ინტერესი და დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა მისცა შეჯიბრებას.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა 334 სპორტსმენი. მათ მონაწილეობა მიიღეს შეჯიბრებაში ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახეობის სპორტში, გარდა ბალახის ხოკეისა.

საბჭოთა სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს დამთავრებულ ოლიმპიურ ასპარეზობაში. მათ დაამყარეს 2 მსოფლიო, 3 ევროპისა და 11 საკავშირო რეკორდი. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 106 ოლიმპიური მედალი, მათ შორის 38 ოქროსი, 53 ვერცხლისა და 15 ბრინჯაოსი.

ოლიმპიურ ასპარეზობაზე მსოფლიო კლასის ოსტატობა გვიჩვენეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა. მეთხუთმეტე ოლიმპიური ასპარეზობის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში გახდა ჩვენი საბჭოთა სპორტსმენი ვიქტორ ჩუკარინი. იგი დაჯილდოებულია სამი ოქროს და ორი ვერცხლის მედლით. ოლიმპიური ასპარეზობის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ტანვარჯიშში მეინიჭა აგრეთვე მარიამ გოროხოვსკაიას, რომელმაც მოიპოვა ორი ოქროს და ოთხი ვერცხლის ოლიმპიური მედალი.

დიდი ოსტატობა გამოიჩინეს კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა მოჭიდავეებმა: მძიმე წონაში — იოჰანეს კოტკასმა, ქვემსუბუქ წონაში — იაკობ პუნკინმა, მსუბუქ წონაში — შაზამ საფინმა და უმძიმეს წონაში — ბორის გურევიჩმა. ყველა ისინი დაჯილდოებული არიან ოქროს მედლებით და მინიჭებული აქვთ ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის წოდება. ვერცხლის მედალი კლასიკურ ჭიდაობაში მოიპოვა შალვა ჩიხლაძემ და ბრინჯაოს მედლები მიიღეს ნიკოლოზ ბელოვმა და არუთინ ტერიანმა.

თავისუფალ ჭიდაობაშიც სსრ კავშირის სპორტსმენებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში გახდნენ საბჭოთა მოჭიდავეები დავით ციმაკურიძე (საშუალო წონა) და არსენ მეკოკიშვილი (მძიმე წონა), რომლებმაც ოქროს მედლები მიიღეს. მჩატე წონის მოჭიდავემ რაშიდ მამედბეკოვმა მიიღო ვერცხლის მედალი.

შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს ოლიმპიურ ასპარეზობაში საბჭოთა ძალოსნებმა. რაფაელ ჩიმიშკიანმა (ქვემსუბუქი წონა) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კლასიკურ სამჭიდში. მის შედეგს — 337,5 კილოგრამს ვერავინ გადააჭარბა. ოლიმპიურ რეკორდს გადააჭარბა საბჭოთა სპორტსმენმა ივანე უდოდოვმა, რომელიც გამოვიდა მჩატე წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში. კლასიკურ სამჭიდში ივანე უდოდოვმა უჩვენა 315 კილოგრამი. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ტროფიმე ლომაკინმა (საშუალო წონა). მისი შედეგია— 417,5 კილოგრამი.

საბჭოთა შტანგისტები რაფაელ ჩიმიშკიანი, ივანე უდოდოვი და ტროფიმე ლომაკინი დაჯილდოებული არიან ოქროს მედლებით, ნიკოლოზ საქსონოვი და გრიგოლ ნოვაკი—ვერცხლის მედლებით, არკადი ვორობიოვი — ბრინჯაოს მედლით.

საბჭოთა სპორტსმენებმა მთელი რიგი საპრიზო ადგილები დაიკავეს მძლეოსანთა შეჯიბრებაში. ბადროს ტყორცნის მსოფლიოში უძლიერეს, უბადლო ოსტატებად გვიჩვენეს თავი საბჭოთა სპორტსმენებმა ნინო რომაშკოვამ, ელისაბედ ბაგრიანცევამ და ნინო დუმბაძემ. ნინო რომაშკოვამ ბადრო ტყორცნა 51,42 მეტრზე, დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი და მოიპოვა ოქროს მედალი. ელისაბედ ბაგრიანცევა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, დაჯილდოებულია ვერცხლის მედლით, და ნინო დუმბაძე, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა — ბრინჯაოს მედლით.

ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში გალინა ზიბინამ. მისი შედეგია 15 მეტრი და 28 სანტიმეტრი. ლეონიდ შჩერბაკოვმა ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა სამჯერად ხტომაში.

ახალი საკავშირო მიღწევა (40,3 წამი) იყო შედეგი, რომელიც 4×100 მეტრზე ამანათრბენში უჩვენეს ლევ კალიაევმა, ლევან სანაძემ, ბორის ტოკარევმა და ვლადიმერ სუხარევმა. საკავშირო რეკორდებია საბჭოთა სპორტსმენების მიღწევები: ა. იგნატიევისა 400 მეტრზე რბენაში, ი. ლიტუევისა— 400 მეტრზე თარჯრბენში, მარიამ გოლუბნიჩაიასი—80 მეტრზე თარჯრბენში, ნადეჟდა ხნიკინასი—200 მეტრზე რბენაში, ალექსანდრა ჩუდინასი — გამოქცევით სიგრძეზე ხტომაში.

აკადემიურ მონიჩბეობაში 22 წლის ლენინგრადელმა მონიჩბემ იური ტიუკალოვმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ერთეულ სკიფებით შეჯიბრებაში. ტიუკალოვმა ყველაზე სწრაფად გაიარა ორი ათასი მეტრი დისტანცია და ოქროს მედალი მოიპოვა. აკადემიურ მონიჩბეობაში წარმატება მოიპოვეს სხვა საბჭოთა სპორტსმენებმაც. ვერცხლის მედლები მიენიჭათ ჟილინსა და ემჩუკს, რომლებმაც მეორე ადგილი დაიკავეს უმესაჭეო ორადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში. ვერცხლის მედლები მიენიჭათ აგრეთვე მესაჭიანი რვაადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ბრაგოს, როდიმუშკინს, კომაროვს, ბორისოვს, ამირაგოვს, გისენს, სამსონოვს, კრიუკოვსა და პოლიაკოვს (მესაჭე).

საბჭოთა სპორტსმენები პირველ ადგილზე გამოვიდნენ სასროლო სპორტში. საბრძოლო შაშხანის სროლაში ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა ანატოლი ბოგდანოვმა. 300 მეტრ დისტანციაზე სამი მდგომარეობიდან მან 1.200 შესაძლებლიდან 1.123 ქულა მოაგროვა. ანატოლი ბოგდანოვს მიენიჭა ოქროს მედალი. მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში ბორის ანდრეევმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

კარგად გამოვიდა ოლიმპიურ ასპარეზობაზე საბჭოთა კალათბურთელების გუნდი. მან დაამარცხა ბრაზილიის, ურუგვაის, ჩილის ძლიერი გუნდები და მეორე ადგილი დაიკავა. გუნდის მონაწილეები ი. ლისოვი, ო. ქორქია, ს. ბუტაუსკასი, ა. კონევი, კ. პეტკიავიჩუსი, ი. კულამი, ი. ლაგუნავიჩუსი, ნ. ჯორჯიკია, ხ. კრუსი, ვ. ვლასოვი, ა. მოისეევი, ი. ოზეროვი დაჯილდოებული არიან ვერცხლის მედლებით.

ოლიმპიურ ასპარეზობაზე თავიანთი შესაძლებლობა სათანადოდ ვერ გამოავლინეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, ველოსიპედისტებმა, მცურავებმა და წყალბურთელთა გუნდმა. დაბალი შედეგები უჩვენეს სპორტსმენებმა საცხენოსნო სპორტში, ფარიკაობასა და იალქანჯომარდობაში.

ოლიმპიადაზე თექვსმეტი დღის შეჯიბრების შედეგად საბჭოთა სპორტსმენებმა მოაგროვეს 494 ქულა, ესე იგი ყველაზე მეტი. როგორც პრესა იუწყებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებმა მოაგროვეს 490 ქულა. მაგრამ ამჟამად დაზუსტებული ცნობებით მათ აგრეთვე აქვთ 494 ქულა.

მეთხუთმეტე ოლიმპიურ ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები და მოგროვილი ქულების რაოდენობით ღირსეული ადგილი დაიკავეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენების შემდეგ. უნგრელმა სპორტსმენმა ი. ჩერმაკმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა უროს ტყორცნაში. წარმატებით გამოვიდნენ უნგრელი წყალბურთელები, მცურავები, ტანმოვარჯიშეები, მოკრივეები. მაღალი დონე ახასიათებდა სხვა გუნდებთან უნგრელი ფეხბურთელების შეხვედრას, რომლებმაც პირველი ადგილი და ოქროს მედლები მოიპოვეს.

ფენომენალურ წარმატებას მიაღწია ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილმა მძლეოსანმა ემილ ზატოპეკმა. მან სამი ოქროს მედალი მოიპოვა გრძელ დისტანციებზე უძლიერეს მორბენალთა შეჯიბრებაში.

ოლიმპიურ ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდნენ შვეციის, იტალიის, ფინეთის სპორტსმენები.

უნდა ითქვას, როგორც ეს უკვე აღინიშნა უცხოეთისა და საბჭოთა პრესაში და ჩვენს 29 ივლისის განცხადებაში ოლიმპიური კომიტეტისადმი, ზოგიერთი მსაჯის მხრივ არაობიექტური და უსამართლო მსაჯობის შესახებ. როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სხვა ქვეყნების მთელმა რიგმა სპორტსმენებმა მსაჯობის წესების უხეშად ფეხქვეშ გათელვისა და მსაჯთა უსამართლობის შედეგად, პარტნიორებთან თავიანთი სპორტული შეხვედრების შედეგების წინასწარგანზრახული შემცირებული შეფასება მიიღეს. მაგალითად, სკანდალური იყო კრივში მსაჯის საქციელი საბჭოთა სპორტსმენის შოციკასის მიმართ, რომელიც მან გააჩერა, რათა მის მოწინააღმდეგეს ესარგებლნა ამით და დაერტყა შოციკასისთვის. ან ასეთივე არასწორი საქციელი მსაჯისა ფინელ მოკრივე ლუკონენის მიმართ. ამავე დროს ზოგიერთ ამერიკელ სპორტსმენს, განსაკუთრებით შეჯიბრების უკანასკნელ დღეებში, მსაჯები დაუმსახურებლად ანიჭებდნენ გამარჯვებას.

ეჭვი არ არის, რომ ყველა სახეობის შეჯიბრებაში სწორი მსაჯობა რომ ყოფილიყო, საბჭოთა კავშირისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სპორტსმენები გაცილებით მეტ საპრიზო ადგილებს მიიღებდნენ.

მთლიანად ოლიმპიურმა ასპარეზობამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა თანამშრომლობის განმტკიცებას, ცხადყო მათი მისწრაფება მშვიდობისა და მეგობრობისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიური ასპარეზობის ფინელმა ორგანიზატორებმა და მომწყობებმა ყოველივე შესაძლებელი გააკეთეს, რათა ასპარეზობის წესიერად და ორგანიზებულად ჩაევლო. საბჭოთა სასპორტო დელეგაციის სახელით მე მსურს პრესის საშუალებით მადლობა გადავუხადო მეთხუთმეტე ოლიმპიური ასპარეზობის მომწყობ ფინეთის საორგანიზაციო კომიტეტს ოლიმპიადის კარგი ორგანიზაციისათვის.

(„პრავდა“, 6 აგვისტო).

# სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე

⊙

**მ. ლომიძე,**

საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი.

⊙

ოცი წლის წინათ, 1932 წლის 7 აგვისტოს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღეს კანონი, რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ეს კანონი შემდგომ განამტკიცა სტალინურმა კონსტიტუციამ. კონსტიტუციაში აღიარებულია, რომ სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებულნი მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად.

საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელია. მათ, ვინც ხელყოფს საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, სტალინური კონსტიტუციის 131 მუხლი ხალხის მტრებად აღიარებს.

„ჩვენი წყობილების საფუძველს, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება ისევე, როგორც კაპიტალიზმის საფუძველს — კერძო საკუთრება. თუ კაპიტალისტებმა კერძო საკუთრება გამოაცხადეს წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად, მიაღწიეს რა თავის დროზე კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას, ჩვენ, კომუნისტებმა, მით უფრო უნდა გამოვაცხადოთ საზოგადოებრივი საკუთრება წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად, რათა ამ გზით განვამტკიცოთ მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმები წარმოებისა და ვაჭრობის ყველა დარგში“.

საბჭოთა მთავრობა სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე დაუნდობლად სჯის ყველას, ვინც კი ხელყოფს სოციალისტურ საკუთრებას. სოციალისტური საკუთრების დაცვა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს.

სოციალისტური საკუთრების დაცვაში დიდად დაინტერესებული არიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ისინი თავდადებულად მუშაობენ საყვარელი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან კაპიტალიზმის გადმონაშთებისაგან და გამსჭვალული არიან ეგოისტური მისწრაფებით—გამდიდრდნენ სხვისი შრომის ნაყოფით, პარაზიტული ცხოვრებით. ის გარემოება, რომ კაპიტალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი ჩამორჩენილ ადამიანთა შეგნებიდან, იწვევს სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებას.

სტალინური ხუთწლედების დიადი ეპოქის დასაწყისში საბჭოთა წყობილების კლასობრივი მტრები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალათ გაშლილი შეტევა სოციალიზმის მთელ ფრონტზე, რისთვისაც მიმართავდნენ მავნებლობის სხვადასხვა ხერხებს და მეთოდებს, ორგანიზებულად ეწეოდნენ სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცება-განიავებას.

სოციალისტური სახელმწიფოს კლასობრივი მტრები სახელმწიფო და საზოგადო დოვლათის დატაცებას იყენებდნენ, როგორც ერთ-ერთ ძირითად ფორმას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. საჭირო იყო მათ მიმართ სასტიკი საკანონმდებლო ღონისძიების განხორციელება. ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონი „სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“.

7 აგვისტოს კანონმა სოციალისტური საკუთრება წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად გამოაცხადა და სახალხო დოვლათის დატაცებისათვის დააწესა მკაცრი სასჯელი.

ამ ღონისძიებამ ჭეშმარიტად უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ბაზის დაცვის საქმეში. 7 აგვისტოს კანონის ცხოვრებაში მტკიცედ და ურყევად გატარებამ დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვას კლასობრივი მტრების —კულაკების და ყველა სხვა ჯურის დამტაცებლების მიერ ხელყოფისაგან. ამ კანონის უდიდესი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ითვალისწინებდა რა ქურდებისა და გამფლანგველების მთელი სისასტიკით დასჯას, იგი აფრთხილებდა ჩვენი საზოგადოების მერყევ ელემენტებს არ გაებედნათ სოციალისტური საკუთრების ხელყოფა.

პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ დიდი სტალინის მითითებებით იმის შესახებ, რომ აუცილებელია სისტემატური ბრძოლა ქურდობის, გამფლანგველობის, მტაცებლობის წინააღმდეგ. დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აღმზრდელობით მუშაობას, საბჭოთა სასამართლო ორგანოებისადმი საბჭოთა საზოგადოების მიერ აქტიურ მხარდაჭერას, ქურდბაცაცების ირგვლივ საერთო მორალური ბოიკოტისა და საზოგადოებრივი სიძულვილის ატმოსფეროს შექმნას.

საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ხანია აღარ არსებობს ობიექტური პირობები დანაშაულის ჩადენისათვის, მით უმეტეს ქურდობისა და მტაცებლობისათვის. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს უმუშევრობა, ყველა საბჭოთა მოქალაქე უზრუნველყოფილია სამუშაოთი და შრომა გადაქცეულია ადამიანის ღირსების საქმედ, გმირობის საქმედ. საბჭოთა სისტემა აკავშირებს მილიონობით ადამიანებს კოლექტიურ შრომაში და შრომის სოციალისტური ფორმების დანერგვით უზრუნველყოფს სულ უფრო მეტი დოვლათის შექმნას, დაგროვებას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს და აძლიერებენ ნაციონალურ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ შუღლს და სპობენ ნაციონალურ ჩაგვრას“.

სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის საქმეში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპის შესაბამისად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1947 წლის 4 ივნისს გამოსცა ახალი კანონი—ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ამ კანონმა დაამყარა ერთიანობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, საგრძნობლად გააძლიერა სასჯელის ზომა სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის.

4 ივნისის ბრძანებულებამ სახელმწიფო საკუთრების დატაცებისათვის შედარებით უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა დააწესა. მასში ხაზგასმულია სოციალისტურ მეურნეობაში სახელმწიფო საკუთრების წამყვანი როლი. სახელმწიფო ქონება სოციალისტური საკუთრების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. ის საერთო-სახალხო კუთვნილებაა. სწორედ ამიტომ სახელმწიფო საკუთრების დატაცებისათვის აღნიშნული ბრძანებულება აწესებს მკაცრ სასჯელს.

სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია ბევრი შემთხვევა, როდესაც სოციალისტური საკუთრების მტაცებლობა შესაძლებელი იყო თავიდან აცილებულიყო ან დროულად გამოვლინებულიყო, რომ მოქალაქეებს, რომლებმაც იცოდნენ ამ მტაცებლობის შესახებ, დროზე ეცნობებინათ ეს ხელისუფლების ორგანოებისათვის. ამიტომ 4 ივნისის ბრძანებულებამ ხაზი გაუსვა საბჭოთა მოქალაქეების ამ მოვალეობას. ბრძანებულების მეხუთე მუხლით დაწესებულია მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტის განუცხადებლობისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო და საზოგადო ქონება დატაცებულია დიდი რაოდენობით ან დატაცება მოხდა მტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან ქონების დატაცება სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

ბრძანებულების ამ მუხლში გამოხატულება ჰპოვა სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნამ იმის შესახებ, რომ „სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო“.

1932 წლის 7 აგვისტოს კანონმა თავისი მოქმედების პერიოდში, ისევე როგორც 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებამ, უდიდესი როლი შეასრულა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა მტაცებლობის შემთხვევები, რაც უდავოდ კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ იქ, სადაც სათანადო თანამდებობის პირები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მატერიალურად პასუხისმგებელი კადრების შერჩევას, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და დოკუმენტალური საუწყებო რევიზიების საკითხს, იქ, სადაც ხელმძღვანელი კადრები აღჭურვილი არ არიან ბოლშევიკური, რევოლუციური სიფხიზლით, ვხვდებით სოციალისტური საკუთრების დატაცების მთელ რიგ შემთხვევებს, რაც საგრძნობ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ასეთი ხასიათის ნაკლოვანებებს დიდი ოდენობით ჰქონდა ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის, პირველ რიგში ყოფილი პირველი მდივნის ამხ. კ. ჩარკვიანის პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებისა და მუშაობაში დანერგილი მანკიერი სტილის შედეგად საქართველოში ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ჩავარდნებს, საბჭოთა კანონიერების დარღვევის ფაქტებს. მუშაობაში გამოყენებული არ იყო ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეთოდი, პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა ქვემოდან. რესპუბლიკის პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროში მოკალათებული იყვნენ მტრული ელემენტები, რომლებიც საბჭოთა კანონიერების დაცვის ნაცვლად მფარველობდნენ ბოროტმოქმედთ. ამის შედეგად ზოგიერთი სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოები და პროკურორები ადგილებზე ყოველთვის თანმიმდევრულად არ იბრძოდნენ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ, უკანასკნელ თვეებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჩვენს რესპუბლიკაში გამოვლინებულ იქნა სოციალისტური საკუთრების დატაცების მთელი რიგი ფაქტები.

დაშვებული შეცდომებისა და დარღვევების აღმოფხვრისათვის საქართველოს პარტორგანიზაციებს, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს საბრძოლო ამოცანები დაუსახეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმებმა. ამის საფუძველზე დიდი მუშაობა იქნა გაწეული.

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები მკაცრად სჯიან სახელმწიფო და საკოლმეურნეო საკუთრების დამტაცებლებს, გამფლანგველებსა და ქურდებს. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გამომჟღავნებულ იქნა ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რომელიც ყალბი საბუთების შედგენით, ანგარიშწარმოების არევ-დარევით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევით იტაცებდა საკოლმეურნეო ქონებას.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მიმდინარე წლის 19 ივლისს დაამთავრა ბოროტმოქმედთა საქმის განხილვა და კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ს. თოდუას, ყოფილ ბუღალტერს შ. ხაბურზანიას მიუსაჯა ოც-ოცი წლით პატიმრობა ქონების

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ღია წერილი ამერიკელი ხალხისადმი

**ნიუ-იორკი**, 5 აგვისტო. (საკდესი). ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა „ღია წერილი ამერიკელი ხალხისადმი". წერილს ხელს აწერს 50 ცნობილი მოღვაწე, რომლებიც ამერიკელ ხალხს მოუწოდებენ ცხადყოს, რომ თანაუგრძნობს ევროპაში ამჟამად მზარდ მოძრაობას ბონის მთავრობასთან დადებული სამხედრო პაქტების წინააღმდეგ და იმის სასარგებლოდ, რომ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს კონფერენცია, რათა გაიმართოს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გაერთიანებულ გერმანიასთან.

წერილში ნათქვამია: „სერიოზული პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ მივმართავთ ამერიკელ ხალხს ამ ღია წერილით.

საერთაშორისო ამბებმა ისეთ წერტილს მიაღწია, რომ უკიდურეს საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი უშიშროებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. ახორციელებდა რა ამ უკანასკნელ წლებში ორპარტიულ საგარეო პოლიტიკას, ჩვენი მთავრობა დაჟინებით არიდებდა თავს საბჭოთა კავშირთან თათბირს და სულ უფრო მეტად მიდიოდა იმ გზით, რომ შეექმნა საერთაშორისო სამხედრო საფრთხე სსრ კავშირის წინააღმდეგ, ეს საფრთხე გამოეყენებინა თავისი მიზნების მისაღწევად.

ამ პოლიტიკამ უმაღლეს წერტილს მიაღწია ამას წინათ, როცა ბონში დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან დაიდო „საერთო შეთანხმებანი" და „შეთანხმება ევროპის გაერთიანების შესახებ". ამ შეთანხმებათა პირველი მიზანი ის არის, რომ კვლავაც დარჩეს დანაწილებული გერმანია და დასავლეთ გერმანიის სამხედრო პოტენციალი შეუერთდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს გენერალ რიჯუეის სარდლობით.

ომის საფრთხეს, რაც ბონის შეთანხმებებიდან გამომდინარეობს, ის ფაქტი აორკეცებს, რომ ეს შეთანხმებანი განამტკიცებენ გერმანიის რეაქციულ ძალებს, რურის მონოპოლისტებსა და გერმანიის არმიის ნაცისტ გენერლებს. შეერთებული შტატების მთავრობამ იკისრა დახმარება გაუწიოს ამ ელემენტებს, ვინაიდან მათზეა დამოკიდებული ბონის შეთანხმებათა რატიფიკაცია, შემდგომი მილიტარიზაცია და გერმანელი სამხედრო კადრების გადაცემა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისათვის.

შეერთებულმა შტატებმა გერმანიის ფაშისტური ელემენტები, რომლებიც დიდი მსხვერპლის ფასად დამარცხებულ იქნენ მეორე მსოფლიო ომში, თავის მოკავშირეებად გაიხადეს, რათა შექმნან სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის ბაზა. ამ შეთანხმებებით ჩვენი ქვეყნის უშიშროებას ვანდობთ რევანშისტ ნაცისტ გენერლებს, რომლებსაც ხელები სისხლით აქვთ შეღებილი და რომლებსაც, აღმოჩნდებიან თუ არა ხელისუფლების სათავეში და მბრძანებელ პოსტებზე აღდგენილ სამხედრო მანქანაში, შეუძლიათ თავს დაგვატეხონ ომი, როგორც კი ამას მოისურვებენ.

ბონის მთავრობასთან დადებული შეთანხმებანი ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის სურვილებს. გერმანელ ხალხს მხოლოდ იმისათვის უშლიან ხელს გაერთიანდეს და მშვიდობიანი დემოკრატიული გზით განვითარდეს, რომ დასავლეთი გერმანია შეიყვანონ სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ, და ამით შექმნან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის საფრთხე. ახლა ევროპის ყველა ქვეყანაში ჩაღდება უაღრესად ფართო ბრძოლა ბონის შეთანხმებათა რატიფიკაციის გარშემო.

თვით დასავლეთ გერმანიაში მზარდი ოპოზიციის გამო კანცლერი ადენაუერი, როგორც იუწყებიან, ახლა მზად არის ორი-სამი თვით, შესაძლოა კი მეტი ხნით, გადადოს რატიფიკაციის პროცედურა გერმანიის პარლამენტის ორივე პალატაში. აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობა და ხალხი მთლიანად უარყოფენ ამ შეთანხმებებს, მოითხოვენ ნამდვილ საზავო ხელშეკრულებას, რასაც საფუძვლად დაედება სრული სუვერენიტეტი გაერთიანებული გერმანელი ხალხისა, რომელმაც იკისრა ვალდებულება დაიცვას საყოველთაო მშვიდობა. საფრანგეთში ყველა პოლიტიკური პარტია უფრთხის და ეწინააღმდეგება ნაცისტური სამხედრო ძლიერების აღორძინებას. ინგლისში ბონის ეს შეთანხმებანი დიდ მღელვარებას იწვევენ ლეიბორისტებში, ლიბერალებსა და კონსერვატორთა ჯგუფებშიც კი.

საბჭოთა კავშირმა არაერთხელ —წარსულში და სულ ამ ცოტა ხნის წინათ —მიმართა შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს მთელი რიგი ნოტებით, პროტესტი განაცხადა ბონის განზრახულ შეთანხმებათა წინააღმდეგ, რადგან ეს შეთანხმებანი ეწინააღმდეგებიან ომიანობის დროის მოკავშირეთა ვალდებულებებს და, კერძოდ, პოტსდამის შეთანხმებას. სსრ კავშირი მოუწოდებდა, რომ მაოკუპირებელი სახელმწიფოები შეთანხმდნენ მთელ გერმანიაში—აღმოსავლეთსა და დასავლეთში — არჩევნების შესახებ და რომ შეიქმნას სრულიად გერმანიის მთავრობა, რომელსაც შეეძლება ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას.

ბრძოლა, რომელიც ბონის შეთანხმებათა გარშემო გაჩაღდა თვით გერმანიაში და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებში, მოითხოვს ამ შეთანხმებათა ლიკვიდაციას მათი რატიფიკაციის თავიდან აცილების გზით. ამით დასახულია კონსტრუქციული გადაწყვეტილება —შეიქმნას გაერთიანებული დემოკრატიული გერმანია და დაიდოს მასთან საზავო ხელშეკრულება. ასეთი გადაწყვეტილება დიდად შეუწყობდა ხელს ევროპაში სამხედრო დაძაბულობის აღმოფხვრას და შეამსუბუქებდა შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის შეთანხმებათა დადებას ყველა საერთაშორისო პრობლემაზე.

დაე ამერიკელმა ხალხმა დაანახვოს ევროპის ხალხებს, რომ ამერიკელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეგნებული აქვს საფრთხე, რომელიც ბონის შეთანხმებებს მოსდევს... მოვუწოდოთ პრეზიდენტს მოაწყოს ოთხი სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწეთა კონფერენცია, სადაც გაიმართება მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გაერთიანებულ გერმანიასთან.

შეერთებული შტატებისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესები მოითხოვს, რომ ჩვენ მოვუწოდოთ მოქმედებისაკენ, სანამ ამერიკელებს ჯერ კიდევ აქვთ დრო დაშორდნენ ომის გზას და დაადგნენ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების გზას".

წერილს სხვებთან ერთად ხელს აწერენ: ყოფილი პროტესტანტი ეპისკოპოსი არტურ მოულტონი, ჩრდილო-დასავლეთი უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ სტარი, მინესოტის შტატის ყოფილი გუბერნატორი ელმერ ბენსონი, ბეწვეულისა და ტყავეულის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ვიცე-თავმჯდომარე ლეონ სტრაუსი, მწერლები ალბერტ კანი, ჰოვარდ ფასტი, კორლის ლამონტი და ჯონ ჰოვარდ ლოუსონი; მხატვრები როკუელ კენტი და ანტონ რეფრიჟერი; ანთროპოლოგი უილიამ დიუბუა და თურისტთა ეროვნული გილდიის ვიცე-პრეზიდენტი სამუელ მენ

# მშვიდობის დაცვის სრულიად ალბანეთის კომიტეტში

**ტირანა**, 5 აგვისტო. (საკდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

გუშინ გაიმართა მშვიდობის დაცვის სრულიად ალბანეთის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა მედარ შტიულას მოხსენება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამა წლის ივნისის ბერლინის საგანგებო სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

მშვიდობის დაცვის სრულიად ალბანეთის კომიტეტის პრეზიდიუმი შეუერთდა ბერლინის სესიის გადაწყვეტილებებს და დაადგინა 5 აგვისტოს ტირანაში მოიწვიოს ალბანეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის სხდომა, რათა განიხილოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

# ირანის სენატში

**თეირანი**, 5 აგვისტო. (საკდესი). მოსადიკისათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების შესახებ მთავრობის კანონპროექტი, რომელიც ირანის მეჯლისმა მიიღო, ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას სენატი დაამტკიცებს. მაგრამ სენატში, სადაც 4 აგვისტოს დასმული იყო ამ კანონპროექტის საკითხი, ჯერჯერობით მიღებულია მხოლოდ გადაწყვეტილება, რომ იგი განხილულ იქნას „როგორც მეორე სიჩქარის საკითხი", ე. ი. კომისიაში მისი წინასწარი განხილვის შემდეგ.

სენატი აყოვნებს აგრეთვე კავამ-ეს-სალტანეს ქონების კონფისკაციის შესახებ კანონპროექტის დამტკიცებას. სენატმა მიიღო გადაწყვეტილება განხილულ იქნას იგი „როგორც პირველი სიჩქარის" საკითხი, ე. ი. ფაქტიურად გაურკვეველი დროის განმავლობაში.

# მდგომარეობა სუდანში

**ბეირუთი**, 6 აგვისტო. (საკდესი). როგორც ეგვიპტის გაზეთი „ალ-მისრი" იუწყება, სუდანის პარტიებმა „ალ-აშიგამ" და „ეროვნულმა ფრონტმა" გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ, რადგან ეგვიპტე კრიზისულ პერიოდს განიცდის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას სუდანში ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გაერთიანებული ფრონტი. ამ ფრონტის შემადგენლობაში შედიან პარტიები „ალ-აშიგა", „ეროვნული ფრონტი" და „ბრძოლის ეროვნული ფრონტი".

ყველა ეს პარტია მოითხოვს ნილოსის ველის ქვეყნების გაერთიანებას. სუდანის მშრომელთა პროფკავშირების გაერთიანებასთან და სუდანის სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირების გაერთიანებასთან ერთად აღნიშნულმა პარტიებმა სუდანის პარტია „ალ-უმის" ლიდერს ელ-მაჰდი-ფაშას და ეგვიპტის პრემიერ-მინისტრს გაუგზავნეს მემორანდუმი, რომელშიც აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ ბოლომდე აწარმოონ ბრძოლა კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელიც სუდანს თავს მოახვიეს ინგლისელებმა.

# დასავლეთ გერმანიასთან ფარულ გარიგებათა წინააღმდეგ

**პარიზი**, 6 აგვისტო. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ მოსალოდნელია განახლდეს მოლაპარაკება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ შუმანსა და დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივან ჰალშტაინს შორის საარის საკითხზე, კომუნისტმა დეპუტატმა კრიჟელ-ვალრიმონმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეკითხვა შეიტანოს საფრანგეთის მთავრობის სახელზე. გაზეთ „ლუმანიტეს" ცნობით, კრიჟელ-ვალრიმონს განზრახული აქვს შეეკითხოს მთავრობას, კერძოდ „ზემოაღნიშნულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით საფრანგეთის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის" და „იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიძლება შეიქმნას ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელსაც პარლამენტი კონტროლს არ უწევს და რომელიც შეუძლებელს ხდის გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას".

გარდა ამისა, „ლუმანიტე" აქვეყნებს კომუნისტი დეპუტატის მარსელ როზენბლატის წერილს ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარისადმი. ამ წერილში მარსელ როზენბლატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰალშტაინთან შუმანის მოლაპარაკება წარმოადგენს „საფრანგეთის ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფას", და მას შეუძლია მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენოს ეროვნული კრება, სანამ იგი დაამტკიცებდეს შეთანხმებას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ.

დასასრულ მარსელ როზენბლატი მოითხოვს მოწვეულ იქნას საგარეო საქმეთა კომისია, რათა მოუსმინოს შუმანს და განიხილოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ბონის მთავრობის წარმომადგენელს შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებული საკითხები.

# სასამართლო ტერორი საფრანგეთში

**პარიზი**, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ტულონის პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორმა კერსიმ უარყო 11 ფრანგი პატრიოტის ადვოკატთა შუამდგომლობა, რომ გაათავისუფლონ ეს 11 ფრანგი პატრიოტი, რომლებიც ტულონის სენ-როშის საპყრობილეში იმყოფებიან.

გაზეთი აღნიშნავს: რაკი 11 პატრიოტს ვერ წაუყენეს რაიმე კონკრეტული ბრალდება, სასამართლო ხელისუფლებს მარტო კომუნისტური პარტიის წევრობაც სავსებით საკმარის საბაბად მიაჩნიათ იმისათვის, რომ ადამიანები საპყრობილეში იყოლიონ. კერძოდ, ეს იყო მოტივი, რომლითაც პროკურორმა კერსიმ უარი თქვა გაეთავისუფლებინა დემოკრატიული გაზეთის „პტი ვარუას" დირექტორი ლუსიანო.

ტულონელი პატრიოტების დევნა დიდ აღშფოთებას იწვევს საფრანგეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. მარსელში 50 ათასმა კაცმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ყოველდღიური დემოკრატიული გაზეთის „ლა მარსეიეზის" მორიგი წლისთავის დღესასწაულში, მოითხოვა 11 ტულონელი პატრიოტის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. შეგროვებულია რამდენიმე ათეული ათასი ხელმოწერა პეტიციაზე იმ პატრიოტთა განთავისუფლების შესახებ, რომლებიც სენ-როშის საპყრობილეში იტანჯებიან.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 5 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 5 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

გასული დღის განმავლობაში კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელ ზღუდეებზე.

დღეს საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 და დააზიანეს 3 თვითმფრინავი.

# მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი**, 5 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

ორივე მხარის შტაბის ოფიცერთა დღევანდელ მე-11 სხდომაზე მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტის ფორმულირების დეტალებზე.

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტის კორეული, ჩინური და ინგლისური ტექსტების ფორმულირებათა შედარება საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ორივე მხარის მთარგმნელთა კონსულტაციის საშუალებით.

ამრიგად, სრული შეთანხმებაა მიღწეული დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის ყველა პუნქტში, გარდა სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხისა.

# იაპონელ მილიტარისტთა აქტივობა

**ტოკიო**, 5 აგვისტო. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ გუშინ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იოსიდამ, მიმართა რა ეგრეთწოდებული „უშიშროების სამმართველოს" შტაბის ხელმძღვანელ შემადგენლობას, განაცხადა, რომ „უშიშროების სამმართველო შექმნილია ახალი არმიის ორგანიზაციისათვის" და რომ პოლიციის სარეზერვო კორპუსი ამ „ახალი არმიის" „საძირკველია".

მთავარი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები თავიანთ განცხადებებში აღნიშნავენ, რომ იოსიდას ეს გამოსვლა კონსტიტუციის დარღვევაა.

# ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა დანაშაულობანი ავსტრიაში

**ვენა**, 6 აგვისტო. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ახალ დანაშაულობას სჩადიან დასავლეთ ავსტრიაში. როგორც გაზეთი „დერ აბენდი" წერს, ამას წინათ ამერიკელთა სამხედრო ყაზარმების ახლოს აიცენჰაიმში იპოვნეს ზალცბურგის მცხოვრების 28 წლის ევა კინბერგერის გვამი. გამოძიებით დადასტურდა, რომ იგი ამერიკელი ჯარისკაცების მსხვერპლი გახდა. მათ გააუპატიურეს იგი, შემდეგ კი მხეცურად მოკლეს. ევა კინბერგერს 11 ჭრილობა მიაყენეს დანით.

ზალცბურგში ყოველდღე ხდება ძალადობა, ქურდობა და ძარცვა. „დანაშაულობისა და პროსტიტუციის მხრივ, — აღნიშნავს გაზეთი „დერ აბენდი", — ზალცბურგი ოდესღაც ავსტრიის ქალაქებში უკანასკნელ ადგილზე იყო. ახლა ამერიკელი განგსტერების „წყალობით" ზალცბურგი „პირველ" ადგილზეა. დანაშაულობამ აქ საშიში მასშტაბი მიიღო".

# ამერიკის სამხედრო პლაცდარმად იაპონიის გადაქცევის წინააღმდეგ

## იაპონიის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის განცხადება

**ტოკიო**, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „აკახატა" იუწყება, 28 ივლისს იაპონიის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც იგი მკვეთრ პროტესტს აცხადებს ამერიკელი ოკუპანტებისათვის ბაზების დათმობის შესახებ შეთანხმების დადების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ იოსიდას მთავრობამ ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა სრულიად თვითნებურად, მიუხედავად ხალხის ძლიერი პროტესტებისა.

კომპარტიის საპარლამენტო ფრაქცია აცხადებს, რომ მთავრობის ეს მოქმედება ეროვნული ინტერესების ღალატისა და ომის პროვოცირების ყველაზე საზიზღარი აქტია.

# მზადება იტალიის სოციალისტური პარტიის დაარსების 60 წლისთავის დღესასწაულისათვის

**რომი**, 6 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ავანტი" იუწყება, რომ იტალიის სოციალისტური პარტია ემზადება თავისი დაარსების 60 წლისთავის დღესასწაულისათვის, რომელიც ზეიმით იქნება აღნიშნული გენუაში ამა წლის 21 სექტემბერს.

# ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის წინასაარჩევნო ბრძოლა

**ნიუ-იორკი**, 6 აგვისტო. (საკდესი). პროგრესული პარტია კვლავ ცდილობს რადიოსა და სატელევიზიო გადაცემების საშუალებით გააცნოს ამერიკელ ხალხს თავისი პროგრამა და კანდიდატები. იმის წინააღმდეგ პროტესტების შედეგად, რომ რადიო და სატელევიზიო კომპანიები დისკრიმინაციას უწევენ პროგრესულ პარტიას, რითაც არღვევენ ფედერალურ კანონს, რომლის თანახმად ყველა კანდიდატს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობანი, კავშირგაბმულობის საქმეთა ფედერალური კომისია იძულებული იყო მთავარი სადგურებისათვის გაეგზავნა ბრძანება ემოქმედნათ კანონის შესაბამისად. მაგრამ ეს სადგურები კვლავ უგულებელყოფენ ამ ბრძანებას.

4 აგვისტოს პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის მდივანმა ბოლდუინმა გამოაცხადა, რომ პარტიამ ერთსა და იმავე დროს გაუგზავნა წერილები რადიოსა და სატელევიზიო სადგურებს, რომლებსაც აფრთხილებს, რომ პარტია იურიდიულ ღონისძიებებს მიმართავს იმისათვის, რომ აიძულოს ისინი დაემორჩილონ კავშირგაბმულობის საქმეთა ფედერალური კომისიის ბრძანებას. ბოლდუინი აღნიშნავს, რომ „კოლუმბიის" რადიომაუწყებელი კომპანიის მხოლოდ ცალკე სადგურებმა გადასცეს ქ-ნ ჰოლინენის სიტყვა იმის შესახებ, რომ იგი თავისი დაპატიმრებული ქმრის სახელით თანხმობას აცხადებს წამოყენებულ იქნას მისი კანდიდატურა შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე. „ბევრ ქალაქში, — განაგრძობს ბოლდუინი, — ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი მასალა ან არ გადაუციათ, ან ადგილობრივმა სადგურმა პირდაპირ უგულებელყო კავშირგაბმულობის საქმეთა ფედერალური კომისიის ბრძანება".

ამერიკის რეაქციული პრესა და რადიო მხოლოდ გაკვრით აღნიშნავენ, რომ პროგრესული პარტია მონაწილეობას იღებს პრეზიდენტის არჩევნებში. ზოგიერთი მეთვალყურე აღნიშნავს, რომ მაშინ როცა 1948 წელს დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლები რეპრესიებისა და ცილისწამების საშუალებით იბრძოდნენ პროგრესული პარტიის წინააღმდეგ, 1952 წელს ამ პარტიებმა გადაწყვიტეს დუმილის შეთქმულებით უპასუხონ პროგრესული პარტიის ბრძოლას.

# საბჭოთა მოჭადრაკეების გამგზავრება ერთა ტურნირზე

მოსკოვიდან ჰელსინკში (ფინეთი) ერთა ტურნირში მონაწილეობისათვის 5 აგვისტოს გაემგზავრა საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდი. მის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი პ. კერესი, გროსმაისტერები — ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი და ე. გელერი. სათადარიგო შემადგენლობაში არიან გროსმაისტერები ი. ბოლესლავსკი და ა. კოტოვი. გუნდს მეთაურობს დ. პოსტნიკოვი.

ერთა ტურნირი ტრადიციული შეჯიბრებაა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთა გუნდები. საბჭოთა მოჭადრაკენი ამ ტურნირში პირველად გამოვლენ.

ერთა ტურნირი იხსნება 9 აგვისტოს. ამ ტურნირში მოსალოდნელია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 30 გუნდის მონაწილეობა. (საკდესი).

# სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა" კლასის გუნდების მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი—საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი შეხვდა საზოგადოება „დინამოს" მოსკოვის გუნდს. ეს ორივე კოლექტივის პირველი თამაში იყო სსრ კავშირის მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში.

შეჯიბრება დაიწყო არმიელთა იერიშით. მესამე წუთზე არმიელთა გუნდის თავდამსხმელი დიომინი სწრაფად გაიჭრა მარცხენა ფრთით დინამოელთა საჯარიმო მოედანზე და ცენტრში გადასცა ბურთი ვუზუნოვს. ძლიერი დარტყმა და ბურთი ბადეში გაეხვია.

თამაშის მთელი პირველი ნახევარი არმიელ ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიშის გადიდება მათ ვერ შეძლეს.

შესვენების შემდეგ შეჯიბრება სწრაფი ტემპით გრძელდებოდა. მწვავე მომენტები იქმნებოდა ხან ერთ, ხან მეორე კართან. მაგრამ თამაშის შედეგი არ შეცვლილა.

შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 1:0. (საკდესი).

# სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსების კითხვა-განხილვა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი 8 აგვისტოს მწერალთა კლუბში აწყობს პოეტ სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსების კითხვა-განხილვას.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის.

სახალხო ზეიმი სტალინის მთაზე.

ხ. ბერულავა — ზეიმი სუხუმში (ლექსი).

**მეორე გვერდი** — პარტიული ცხოვრება — სრულვყოთ პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდები.

ვ. წერეთელი — მუშაობის ძველი, უვარგისი სტილი. შ. ბიჭაშვილი — იქ, სადაც გეგმა არასოდეს არ სრულდება.

ს. ბელიავსკაია — სოციალისტური საკუთრება წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელია.

**მესამე გვერდი** — ა. ქარუმიძე — გავაუმჯობესოთ სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხი. ვ. მანგულაშვილი — საათობრივი გრაფიკით. ა. ქუმარიტოვი — მემინდვრეთა და მექანიზატორთა თანამეგობრობა.

მეთხუთმეტე საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის შედეგების შესახებ.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

# გასწორება

გაზეთ „კომუნისტის" 6 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის მოგებათა 1-ლი ტირაჟის ცხრილში 113995 სერიის ნომერი უნდა იკითხებოდეს — 28*).

რედაქტორი გ. მერკვილაძე

# საგაფიცვო მოძრაობა ჩილეში

**მონტევიდეო**, 5 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ჩილეში არ წყდება მშრომელთა საგაფიცვო ბრძოლა. გაფიცულნი მოითხოვენ ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას და ხელფასის გადიდებას.

არგენტინის გაზეთის „დემოკრასიას" ცნობით, ჩილის რკინიგზელებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. სარკინიგზო მოძრაობა ჩილეში პარალიზებულია. რამდენიმე დღის განმავლობაში გაფიცული არიან „კომპანია ჩილენა დე ელეტრისიდადის" კომპანიის მუშები და მოსამსახურეები. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 2.000 მუშა-მოსამსახურე სანტ-იაგოში და 1.300—ჩილის პროვინციებში. გაფიცულთ მხარს უჭერენ სხვა პროფკავშირული ორგანიზაციები. მუნიციპალურმა მუშებმა განაცხადეს, რომ ისინი გაფიცვას უერთდებიან. გაფიცული არიან აგრეთვე სანტ-იაგოს საფეიქრო მრეწველობის მუშები.

# სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე

(დასასრული)

კონფისკაციით და საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევით, ხოლო ფერმის გამგეს ა. რაფავას, დამამზადებელს ი. ლაშხიას — 15-15 წლით პატიმრობა ქონების კონფისკაციით. ბოროტმოქმედთა ჯგუფის დანარჩენ წევრებს მიესაჯათ ხანგრძლივი პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში „ტყიბულშახტმშენის" ტრესტში მოქმედებდა მტაცებელთა ჯგუფი, რომლებმაც გაფლანგეს დიდი რაოდენობის სახელმწიფო თანხა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენით მთავარ ბუღალტერს ვ. ჩახავას და სხვა ბოროტმოქმედებს — ე. დუდინსკაიას, პ. ზოლოტარევსკის, ზ. ბჟალავას, დ. ტურძელაძეს მიესაჯათ 25 წლით პატიმრობა ქონების კონფისკაციით თვითეულს, ბოროტმოქმედებს ვ. კოლაშვილს და პ. მგალობლიშვილს — ოცოცი წლით პატიმრობა ქონების კონფისკაციით.

სახელმწიფო საკუთრებას ხელყოფდნენ, იტაცებდნენ თბილისის „წისქვილკომბინატში". ბოროტმოქმედნი ამხილეს. პურის № 8 საცხობის გამგეს არჩვაძეს, ექსპედიტორ ქარჩავას, მზაპროდუქციის საწყობის სექციონერს ყაზაროვს, საწყობის გამგეს მკრტიჩიანს და სხვებს დატაცებული ჰქონდათ 382.580 მანეთის მატერიალური ფასეულობანი. თბილისის ოლქის სასამართლომ ბოროტმოქმედებს არჩვაძეს, ქარჩავას, ყაზაროვს, მკრტიჩიანს და შამიროვს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 20-20 წლით.

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი სამუშაოზე კადრებს შეუმოწმებლად იღებდა. მაგალითად, თბილისის გარეუბნის რაიკოოპკავშირმა ავჭალის კოოპერატივის გამგედ მიიღო სამართალში ნამყოფი ვინმე კრიხელი, რომელმაც, ისარგებლა რა ამით, მოკლე დროში მოასწრო 261.417 მანეთის გაფლანგვა. ბოროტმოქმედ კრიხელს თბილისის ოლქის სასამართლომ მიუსაჯა 20 წლით პატიმრობა.

ქურდები, გამფლანგველები და სახალხო დოვლათის ყველა სხვა ჯურის მტაცებლები სასტიკად უნდა დაისაჯონ. ისინი, ვინც ხელყოფს სოციალისტურ საკუთრებას, ასუსტებს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს, ხალხის მტრები არიან და მათ მიმართ საბჭოთა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ულმობელნი უნდა იყვნენ. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და გამფლანგველთა საქმის გამოძიების გაჭიანურებას, გამოძიების და სასამართლოებში საქმეთა განხილვის არადამაკმაყოფილებელ ხარისხს, გამფლანგველთა დროულად გამოუმჟღავნებლობას, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის აუნაზღაურებლობას, რაც გამოწვეულია პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მოუქნელი მუშაობით. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს სახალხო დოვლათის დამტაცებელთა მიმართ ლმობიერი განაჩენების გამოტანა, რასაც აქა-იქ ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცედ დავიცვათ საბჭოთა კანონიერება, სტალინური კონსტიტუციის მოთხოვნები; მთელი ძალები დავრაზმოთ და მოვახმაროთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და გაძლიერების საქმეს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

**კოლმეურნეობათა გამგეობებო და მოქალაქენო!**

**დადეთ ცხოველების დაზღვევის ხელშეკრულებები.**

სახდაზღვევა ანაზღაურებს ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის გამო პირუტყვის დაცემით გამოწვეულ ზარალს, დაზღვევა შეიძლება ცხენებისა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ცხვრისა, თხისა, ღორისა და სხვა ცხოველებისა.

დაზღვევის ხელშეკრულებების დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტებს.

**სახდაზღვევა** ნებაყოფლობითი წესით აზღვევს **საოჯახო ქონებას**: ავეჯს, ტანსაცმელს, საკერავ მანქანებს, სამუსიკო ინსტრუმენტებს, წიგნებს, ნოტებს, სურათებს, ველოსიპედებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, საშენ მასალებს და სხვ.

**სახდაზღვევა ანაზღაურებს** ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებით მიყენებულ ზარალს.

მოქალაქენო! დადეთ და დროზე განაახლეთ საოჯახო ქონების დაზღვევის ხელშეკრულებები. მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტებს.

**საჩვენებელი რესტორანების საქართველოს ტრესტი** აცხადებს, რომ რესტორან **„თბილისში"**—რუსთაველის პროსპექტი № 13, ტელეფონები №№ 3-78-86 და 3-86-22. **„არაგვში"**—პუშკინის ქ. № 29, **„სალხინოში"** — შეროზიას ქ. № 2, ტელეფონები №№ 3-00-47 და 3-00-48 (კომუტატორი), **„ყაზბეგში"** — ელბაქიძის დაღმართი № 2 და კაფე **„თბილისში"** — ჯორჯიაშვილის ქ. № 2.

**ყოველდღე აქვთ:**

გაფართოებული ასორტიმენტი სეზონური და ეროვნული ცივი და ცხელი საუზმეებისა და კერძებისა — ხინკალი, პელმენი, მჭადი, ღომი, საცივი, მხალი, სულგუნი, ბლინები; ხორცის, თევზისა და ბოსტნეულის საპორციო და სასადილო გაიაფებული კერძები. ყველაფერი დამზადებულია მაღალხარისხოვანი პროდუქტებისაგან.

სადილები გაიცემა შინ 10 პროცენტის ფასდაკლებით.

რესტორან **„თბილისში"** მიიღება შეკვეთები საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვან საკონდიტრო ნაკეთობაზე, როგორიც არის ტორტი, კექსი, ქადა და უმაღლესი ხარისხის სხვა ტკბილი ნამცხვარი. მცხეთური და სხვა „პირაჟკები", ხაჭაპური, ქადა, კარაქისა და შოკოლადის ნაყინი, მრავალნაირი არაყი, სამარკო ღვინოები, ლიქიორები, კონიაკები და შამპანური. თბილისისა და მოსკოვის ფაბრიკების საკონდიტრო და თამბაქოს ნაწარმი.

სამზარეულო მუშაობს შეფ-კულინარების ხელმძღვანელობით. რესტორანებში ყოველდღე უკრავს საესტრადო ორკესტრი.

მიიღება შეკვეთები ამხანაგური სადილისა და ვახშმის გასამართავად.

# საქართველოს რადიოინფორმაციის გადაცემათა პროგრამა

## 8 აგვისტოს

**რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 06.25—ქართული ხალხური სიმღერები; 07.30—კონცერტი; 09.20—საოპერო მუსიკის კონცერტი; 10.30—ლიტერატურული გადაცემა—ნაწყვეტები ვლადიმერ მაიაკოვსკის პოემიდან „ლენინი"; 10.00—მუსიკა კინოფილმებიდან; 12.15—ქართული ხალხური სიმღერები; 12.40—სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 17.15—კონცერტი შმალცელის შესრულებით; 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15—ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.20—ნაწყვეტები მუსორგსკის ოპერებიდან; 19.45—საუბარი ახალგაზრდობისათვის — „ფიზკულტურელის ჰიგიენა".

**რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:** 20.30—რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; 20.45 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი; 21.10—საუბარი: „ბოლშევიკური პარტიის მეექვსე ყრილობის 35 წლისთავი"; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა—ალბერტ მალცის მოთხრობა „უბედნიერესი ადამიანი დედამიწაზე"; 22.50—სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 00.05 — საკავშირო რადიოინფორმაციის სოლისტებისა და ანსამბლის კონცერტი.

შვილები ეპიფანე, შოთა, ლევან, ლუბა, ანეტა, რძლები დარიკო, სოფიო, ვერა სიამაშვილები ოჯახებით იუწყებიან **მატრონე ახალოს ასულ ებრალიძე-სიამაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-9-VIII, 8 ს. გამოსვენება 10-VIII, 4 ს. უნივერსიტეტის ქ. 10.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03655